წელიწადი მეორე  ფასი 5 კაპ.  ხუთშაბათი, 28 მკათათვე 1916 წ.  № 167

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი ... პეტიტით ... კანტორზე—10 კ., ... ლებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 4 მ.; 20×2 ღირს მ., 25×2 ღირს 7 მ. 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში ელ. 1 მ. მეტი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი
წელიწადი მეორე. საქართველო წელიწადი მეორე.
ფასი: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 40 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
კრებებით: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან.
სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 8 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.
ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი სანდრო შანშიაშვილი.

დღეს, 28 მკათათვეს თიანეთში მიწას მიაბარებენ ტრაგიკულად უდროოდ დაღუპულ სტუდენტ

სიკო ბადურაშვილის

(კიკნა-ფშაველას)

ნეშტს, რასაც განუსაზღვრელის მწუხარებით აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთა და მეგობრებს განსვენებულის და ანნა კუზრაშვილისა

ახალი მელანი
კოტე ონიკაშვილისა
დამამზადე მელანი და ვყიდი შემდეგს ფასებში
ვინც ორ თუმანზე მეტს გამოიწერს შუშით (ფლაკონით) ღირება: გირვანქა—1 მ., $^{1}/_{2}$ გირვანქა—50 კაპ. $^{1}/_{4}$ გირვანქა—30 კაპ.
ვისაც ფუთობით ჰსურს გაიწეროს უფლაკონოდ ერთი ფუთი ღირს 35 მან.
გასაგზავნს ფასს ნახევარს ჩვენ ვიხდით. ფასდადებით მელანი გაეგზავნება, ვინც მესამედს ფასს წინადვე გამოგვიგზავნის.
მსურველს მივაწვდი ჩემის მელნის ნიმუშს
მისამართი: ქ. თელავი, კოტე ონიკაშვილი.

პირველ ხარისხოვანი რესტორანი
კაფე პარიზი
ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.
(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)
სიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში“ შეიძლება.
ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია
ყოველ დღე მზადდება
საუზმე | ჩაი
სადილები | ყავა
ვახშმები | ხაჭაპური, პიროჟკები
ადგილობრივი და უცხოური სასმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.
პატივისცემით სილ. ს. გიგიბერია.

ქ. ბაქოში
ღვინით ვაჭრობა
„მელაანი“
თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.
იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)

შეშის საწყობი
ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა
ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
ყველასთვის ხელმისაწვდომ ფასზ
საკუთარი ტყიდან
საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

საგალანტერიო მაღაზია
ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
ი. ი. გველესიანისა
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:
სუნამოები, კოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი
(101—წ.)

ხარფუხის საზოგადო კლუბი
(მიხეილის პროსპექტი № 131, საზაფხულო შენობაში)
ხუთშაბათს, 27 მკათათვეს,
სინემატოგრაფი, საზანდარი
დასაწყისი საღამოს 9 საათზე.
სტუმრები საზოგადო წესით. (1—196—1)

ღვინის საწყობი
ნიკო გ. სესიაშვილისა
იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი
კახური ღვინო
განთვის ქუჩა № 4.
სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.
(185—წ.)

ექიმი
მ. დ. წინამძღვრიშვილი
უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

ვამზადებთ პიროვნით
პრაპორშჩიკთა სკოლისათვის. მეცადინეობა დაიწყო. მსურველთა მიღება გრძელდება. პირადათ მოლაპარაკება ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე.
მისამართი: მოსკოვის ქუჩა, № 24. ბინა 1. (ო-128-6)

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა
ექიმი
ა. დ. შაჰაბაზიანცი
ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. სალ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

ექიმი
მ. ი. ვაჩნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (ო.—202—)

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს თიბათვის 15-დან იღებს მანგლისში
კორპუსის ბანაკში

ექიმი-დოსტაქარი
გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

დ. ზესტაფონში
ექიმი
დ. კ. მაჭავარიანი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

## თბილისი, 28 მკათათვე

**განაპირა ადგილების დაბრიყვება.**

განაპირა ადგილები თვითნებობის და უსამართლობის თავისუფალი სანავარდო ყოფილა

საქართველოში კერძოდ, ეს მოვლენა განსაკუთრებულის სიმძაფრით აღიბეჭდება ხოლმე ყოველთვის.

სხვა დროსა და პირობებში ამ გარემოებას ითმენდა და უმკლავდებოდა ჩვენი ხალხი. სამოქალაქო ცხოვრებისა და ეკონომიური საქმიანობის ნორმალურ პირობებში უსამართლოდ მიყენებულ ზარალს და სასჯელს კიდევ შემოევლებოდა და ხალხის თავზე საბედისწერო შედეგს ვერ მოიღებდა და ქვეყანაც სუნთქავდა მძიმე ტვირთქვეშ ამ ატმოსფერაში. მაგრამ დღეს ძნელი ასატანია ის თვითნებობა და უკანონობა, რომელიც ჩვენი ქვეყნის განაპირა ადგილებში ბატონურად პარპაშობს და რომელიც ხალხს, გარდა უფლებრივ-ზნეობრივ შელახვისა, აუნაზღაურებელ ეკონომიურ ზარალს აყენებს. ამ ორი თვის წინედ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო ერთი გულისმომკვლელი საჩივარი, რომელიც ქართველ საზოგადოებისა და ოფიციალი მთავრობის საყურადღებოდ ჩვენში რედაქციას გადმოსცა ხევსურთა დეპუტაციამ. დეპუტაცია მოგვითხრობდა ჩაფრების წრეს გადასულ ალვირ-წახსნილობას, რომელნიც ომის საჭიროების სახელით, ათასგვარ ბოროტმოქმედებას ჩადიოდენ. დადიოდენ თურმე სოფელ-სოფელ და ზოგი სანოვაგე მუქთად გაჰქონდათ, ზოგიც მეოთხედ ფასებში. საწყალი ხალხი, რომელიც დიდძალი მუშა ხელი აკლია ომის გამოისობით, ჰკარგავდა თავის საზრდოს და გამკითხავი არავინ იყო.

დღეს, როგორც გავიგეთ, ეს უწესოება რამდენიმეთ აულაგმავთ. ეხლა საჩივარი საჩივარზე და გოდება გოდებაზე მოდის საქართველოს მეორე მხარიდან—მთიულეთიდან. ომის საჭიროების გამო

გზების შეკეთება დაიწყეს და მუშა ხალხს არე-მარე სოფლებიდან ძალაუნებურად ერეკებოდნენ და ერეკებიან.

ეს იძულებითი გამორკვევა მშვიდობიან სოფლის ხალხისა არარად მიღებული არ არის; ჯერ თავის ნებით სამუშაოზე გასული გლეხიც საშინელი ექსპლუატაციის საგნად არის გადაქცეული. ჩვეულებრივ დროსთან შედარებით დღეს მუშა ხელის ფასი ყოველგან აწეულია. მთავრობაც ამ საერთო მდგომარეობას უფარდებს თავის სამუშაოს გასაკეთებლათ გადასადებ თანხის რაოდენობას და ერთი სამად მეტი სახარჯო გამოაქვს. ხოლო სამუშაოს ადგილობრივი ხელმძღვანელნი ცდილობენ ხალხს ხელფასში დააკლონ და თითონ შეიმატონ. თუ რა სამართალს მოიღებენ ეს ვაჟკაცები იმაზე, ვინც ძალად გაუყვანიათ სამუშაოზედ, ეს ძნელი წარმოსადგენი არ არის. აი რას იწერება ჩვენი თანამშრომელი

ამის გამო:

„ გზის შესაკეთებლად ინჟინერი მოითხოვს ყოველ დღე 30—50 კაცს, ურემსა და ცხენს, ამ ცეცხლის კეთების დროს, როდესაც მუშა ხელი დღიურად უკანასკნელ ორსა და ხშირად სამს მანეთზე ადის, აქ ინჟინერი მანეთად ისტუმრებს და ისიც ღმერთმა უწყის როგორ და ან რა სახით. ხარჯის გასტუმრება საზოგადოდ თვის დამლევსა ხდება. სოფლელები ხშირად 30 ვერსის სიშორიდან ჩამოდიან სამოწყალოს ხვედრის მისაღებად, მაგრამ ყველას ერთნაირად არ აძლევენ, ვადას უნიშნავენ, აი, ამ დროს მოდი და მიიღებო, ზოგს იმით ატყუებენ „ტაბელში“ არა ხარ ჩანიშნულიო და ფეხს აკვეთინებენ უბედურებს.“

უპატრონო ბეჩავი ხალხი უმოწყალო ყვლეფისა და თავხედურ მოპყრობის საგნად არის გადაქცეული. მის საჩივარს ყურს არავინ უგდებს.

საჭიროა ამ მოვლენას ვისიც ჯერ არს მისი ყურადღება მიექცეს და თავიდან აშორებულ იქმნას სამწუხარო ამბები.

## ყრილობა ლოზანნაში

ამ ოთხი წლის წინად პარიზში დაარსდა „საერთაშორისო ეროვნული კავშირი“, რომლის მიზანია დაიცვას უხელმწიფო ეროვნებათა უფლებანი.

ამ კავშირის თავმჯდომარედ ითვლება გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე საფრანგეთისა, ამ ჟამად განათლების მინისტრი —ბ-ნი პენლევე.

„ეროვნებათა კავშირი“ თავის იდეის გასავრცელებლად მართავს დროგამოშვებით საერთაშორისო ყრილობებს, რომელსაც ესწრებიან ხოლმე მთელი ქვეყნის ერთა წარმომადგენლები. ყრილობებს ესწრებიან აგრეთვე საგანგებოდ მოპატიჟებულნი მოღვაწენი ევროპიულ სახელმწიფოთა, რომელნიც თანაუგრძნობენ ეროვნებათა უფლების აღდგენას.

ომის დაწყებამდის სულ ორი ასეთი ყრილობა მოხდა.

მიმდინარე ომმა მრავალი ეროვნული საკითხი წამოაყენა პოლიტიკურ მოღვაწეთა წინაშე და „ეროვნებათა კავშირის“ მოქმედებას დიდის ყურადღებით თვალყურს ადევნებს როგორც ევროპის, ისე რუსეთის საზოგადოებრივი აზრი.

განსაკუთრებით მწვავე ინტერესი გამოიწვია „კავშირის“ მესამე ყრილობამ, რომელიც შესდგა რამოდენიმე კვირის წინად შვეიცარიის ფრანგულ ნაწილის ქალაქში—ლოზანნაში.

რუსის ორმა დიდმა სატახტო გაზეთმა—„ნოვოე ვრემიამ“ და „რეჩმა“ საგანგებო წერილი უძღვნეს ლოზანნას ყრილობას.

„ნოვოე ვრემია“ და „რეჩი“ სამართლიანად შეუძრწუნებია იმ ფაქტს, რომ ლოზანნის ყრილობას შეუდგენია და გამოუქვეყნებია კიდეც „ეროვნებათა უფლების დეკლარაცია“, რომელიც აღიარებს ეროვნებათა ავტონომიას თავისი-თავის და მიწა-წყლის გამგებლობაში.

ყველაზე უფრო აღშფოთებულია რუსის გაზეთები იმ გარემოებით, რომ ყრილობას მოუსმენია სხვა და სხვა ეროვნებათა საჩივარი, მათ შორის რუსეთში მყოფისაც.

„ნოვოე ვრემია“ და „რეჩი“ ერთხმად აწერენ ამ „საჩივარის“ მოწყობას გერმანელებს. „ნ. ვ“ იგონებს, რომ გერმანეთის კანცლერმა ბეტმან ჰოლვეგმა პირველად გადისროლა რაიხსტაგში ლოზუნგი პატარა ეროვნებათა განთავისუფლების შესახებ და გამოაცხადა, რუსეთის განაპირა ერები უნდა ვიხსნათ რუსთა მიერ ჩაყლაპვისაგანო... ლოზანის ყრილობაც გერმანელების მოწყობილიაო. „რეჩი“ კვერს უკრავს „ნოვოე ვრემიას“ და სწერს, რომ ლოზანის ყრილობის მიზანი ის იყო, რომ გერმანეთს დაემტკიცებია მთელი ქვეყნისათვის, თუ როგორი გულწრფელობით იცავს იგი მოკავშირეთაგან აბუჩად აგდებულ ეროვნულ საკითხსო“.

„ამისათვის გერმანეთმა ნეიტრალ შვეიცარიაში წასვლის ნება მისცა ვარშავიდან პოლონეთის ბელადებს—სერომელსკის, ლემნიცკის და სტუდნიცკის და ბერლინიდან—„ქართველების წარმომადგენელს მიხაკო წერეთელს“.

მთელი ყრილობაო, სწერს „რეჩი“ ეს იყო იერიში რუსეთზეო; აპოგია კი სწორედ ის მომენტი, როდესაც საქართველოზე ჩამოვარდა ლაპარაკიო.

„ბატონ მიხ. წერეთელს ნება დართეს ელაპარაკნა იმდენი რამდენიც მან თვითონ დაინახა საჭიროდ; იგი არ გაუჩერებიათ თვით პოლემიკურ ადგილებშიაც, ყოველ მის ნათქვამს, სადაც მ. წერეთელი უკანასკნელ ანგარიშს უსწორებდა რუსეთს“.

მ. წერეთლის გარდა ყრილობას დასწრებია სოციალდემოკრატი ბ-ნი თებზაია, რომლისთვისაც თავმჯდომარეს მხოლოდ ხუთი წამის ლაპარაკის უფლება მიუცია, რადგან მას დელეგატის უფლება არა ჰქონია: ბ-ონ თებზაიას მოუხსენებია კრებისათვის, რომ „ქართველ და რუსის ხალხის შორის მეგობრო კავშირია და ქართველების იმედი დამყარებულია იმ დროზე, როდესაც პროგრესიულია და დემოკრატიული იდეა შექმნის რუსეთში ახალ ცხოვრების პირობებსო“.

„მიუხედავად ამისა, სწერს „რეჩის“ კორესპოდენტი ვლადიმერ ვიქტოროვი“, ყრილობის წევრთა და დამსწრეთა უმრავლესობამ ტაში დაუკრა ბ-5 წერეთლის საბოლოო სიტყვას, როდესაც მან პირდაპირ განაცხადა რომ თებზაია სტყუისო, რადგან ქართველი ერის და რუსეთის დემოკრატიის შორის არავითარი ხელშეკრულობა არ არსებობს და საქართველო არაფერს მოელის რუსეთისაგანო. ეგვიპტელები, ალბანელები და სხვანი ისე მხურვალეთ უკრავდენ ტაშს მოლაპარაკეს, რომ მე ველარ გავძელი და გადავწყვიტე აღარ წავსულიყავი კონგრესის სხდომებზეო“.— დასძენს კორესპონდენტი.

„ნოვოე ვრემია“ ბ-ნ თებზაიას ინციდენტის თაობაზე სწერს: ლოზანნამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ „სადაც პატარა ერის ორი მოღვაწე შეიყრება იქ უსათუოდ სამი პარტია უნდა შეადგინონო“...

ჩვენ მოგვყავს აქ მხოლოდ „რეჩის“ და „ნოვოე ვრემია“-ს მიერ გადმოცემულ ფაქტებს; არსებითად ამ საკითხის შესახებ წინად იყო მოთავსებული „საქართველოში“ წერილი „ლოზანნა და სტოკჰოლმი“ (№ 158).

## კ. ლიბკნეხტის სიტყა

ბერლინში მიტინგზე კ. ლიბკნეხტმა წარმოსთქვა ეს სიტყვა, რომლის შემდეგაც დააპატიმრეს.

მიტინგს ურიცხვი ხალხი დაესწრო, განსაკუთრებით ბავშვები, მოხუცნი და ქალები. პოლიციელთა რკინის რკალი გარს ერტყა ამ ომის საწინააღმდეგო ყრილობას. ლიბკნეხტმა მოიხადა ქუდი; ყველამ სული განაბა. ორატორმა დაიწყო:

„ამხანაგებო და მეგობრებო! რამოდენიმე წლის წინეთ ერთმა ჭკვა მახვილმა სოციალ-დემოკრატმა აღნიშნა, რომ ჩვენ პრუსიელები სრულ უფლებიანი ხალხი ვართ: ჩვენ გვაქვს უფლება ჯარში ვიმსახუროთ, ჩვენ გვევალება ხმის ამოუღებლათ გადასახ-

დების მთელი სიმძიმის ზიდვა! ამხანაგი, რომელიც ასეთ დახასიათებას იძლეოდა, ნაღვლიანათ იცინოდა. ჩვენ კი, რომელნიც მის სიტყვებს ვიმეორებთ — აღარ გვეცინება. არასოდეს ისე უხვათ არ გვისარგებლია აღნიშნულ უფლებებით, როგორც დღეს, ყველას მოგვეცა უფლება სალდათი გავხდეთ და შევითვისოთ სადღეისო ჩვენი ლოზუნგი: „ჰკა მტერსა", აღარ ინდობენ არც ბავშვებს და მტრის საზღვრებს მიუსიეს მოხუცნი, მიუხედავათ იმისა, რომ მათის საომრათ გაწვევა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, საკუთარ საზღვრების დაცვის დროს, შეიძლება. რაც შეეხება გადასახადების სიმძიმეს, გერმანელებმა დიდათ წავასწარით ჩვენს მეზობლებს, რომლებსაც დღეს ასე გულმოდგინეთ ვაოხრებთ და ვჟლეტთ. მაგრამ ომის მიერ შთანთქმული არაფერს წარმოადგენს იმ ახალ გადასახადებთან შედარებით, რომელიც ხალხს დაატყდება ომის შემდეგ. მთავრობა სიჩუმეს გვავალებს. რა უბრალო საშუალებაა: ნურაფერს იტყვით—აი მისი მოწოდება; გშიან—ხმას ნუ ამოიღებ, ითმინე! ბავშვები შიმშილით იხოცებიან—კრინტსაც ნუ დასძრავ! ბავშვები რძეს მოითხოვენ, პურს შეგევედრებიან—შენ კი გაჩუმდი, სიტყვას ნუ იტყვი!"

ეს სიტყვები საშინლად მოქმედობს ხალხზე. მაგრამ მსმენელნი მშვიდობიანობას არ არღვევენ, თუმცა ბევრი სტირის.

„ამხანაგებო!—განაგრძობს ლიბკნეხტი—ჩვენ ვშიმშილობთ, მაგრამ ეს არავინ არ უნდა იცოდეს და ყველაზე ნაკლებათ ჯარისკაცებმა. ასეთი სამწუხარო ამბები შეასუსტებენ ჯარის საომარ აღფრთოვანებას—ამიტომ უარყავით ყოველივე უკმაყოფილება! ქალებო, ატყუეთ თქვენი ახლობელნი, სიმართლე მოარიდეთ მათ!

მაგრამ საბრალო ქალებს აღარ შეუძლიათ ამდენი სიცრუე და ისინი სიმართლეს აწვდიან შორეულ ჯარისკაცთ, ეს კი ყოვლად მოუხერხებელია. ამიტომ სამხედრო ცენზურა განსაკუთრებულ ზომებს იღებს და ჯარისკაცები სიმართლეს ვერ ტყობილობენ.

საბრალო გერმანელი ჯარისკაცი! ამხედრებული მთავრობის მეოხებით, იგი შეიჭრა სხვის ქვეყანაში და დღეს ეწევა სისხლის ღვრის ჭაპანს. ბრძოლის ველზე სიკვდილი მეფობს, შინ—სახლში კი ბავშვები შეუპყრია სიღარიბეს და შიმშილს. საბრალო დედა სასოწარკვეთილებაშია და მას არ შეუძლიან გაუზიაროს ეს მძიმე ბოლმა საკუთარ ქმარს, რომელიც ბრძოლის ველზე „წმიდა მოვალეობას" ასრულებს. გერმანიის მუშები უნდა სისხლიდან დაიცალონ, რადგანაც ასეთია სურვილი კაპიტალისტების, ურა-პატრიოტების და ზარბაზნის მეფეებისა! ხალხმა უსიტყვოთ უნდა სწიროს სისხლის მსხვერპლი, რათა მსუნაგებმა სხვების ძვლებზე შექმნან ბაჯაღლო ოქროს გორები. ომის დაწყებისას სიცრუე გამეფეს. მისი საშუალებით გერმანიის მუშათა კლასს იარაღი აალებინეს ხელში. დღესაც სიცრუეს მიმართავენ ომის გასაგრძელებლათ!.."

ამ სიტყვებზე ხალხს დაესივნენ პოლიციელები. ლიპკნეხტი შეიპყრეს და სამართალში მისცეს, როგორც ქვეყნის მოღალატე.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ სასამართლომ ორ ნახევარ წელიწადი კატორღა მიუსაჯა.

დასავლეთის ბრძოლის ველზე ჩვეულებრივი პოზიციურ ხასიათის ბრძოლა გრძელდება.

X.

# ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა**

**პეტროგრადი**, 26 მკათათვე. ოფიციალი. რუსეთის ასპარეზი. მდ. დნესტრის სამხრეთით რუსის ჯარის წინსვლა ვითარდება.

რაზმები მტერს ფეხ და ფეხ მისდევენ. ჩვენმა ჯარმა ბრძოლით აიღო ქალაქი ნიჟნიუვი, სოფ. ბრატიშუვი, პალახიჩე, ნადოროჟნი, ჩერნოლოზე, კრჟივოტულსნოვე და დაბა სტინია და ამგვარად მდ. ვორონას მარცხენა მხრით მიუახლოვდა. ამ მდინარეზე მდებარეობს ქ. ტისმენიცა. უკან დახევისას მოპირდაპირის მხრიდან აფეთქების ხმა მოისმოდა. ალბად მტერმა ხიდები და საომარ მასალის საწყობები აფეთქა.

ტყვედ წამოყვანილთა რიცხვი და დავლის რაოდენობა ჯერ გამორკვეული არ არის.

ამ ბრძოლაში ჩვენმა ჯარმა დაიპყრო მიდამო, სივრცით 160 კვ. ვერსი.

**პეტროგრადი**, 26 მკათათვე. ოფიციალი. რუსეთის ასპარეზი. მდ. სერეტზე ჩვენი ჯარი კვლავ წინ იწევს და დაპყრობილ ადგილებს ამაგრებს. ამ მიდამოებში 22-დან 24 მკათათვემდის საერთო რიცხვი ტყვეებისა შემდეგია: 166 აფიცერი და 8,415 ჯარის კაცი; ამას გარდა ხელთ ვიგდეთ 4 ზარბაზანი, 19 ტყვიისმფრქვეველი, 11 ყუმბარის მტყორცნელი და ნაღმის მტყორცნელი და სხვა მრავალი საომარი მასალა. მდ. სტოხოდის ბრძოლის ხაზზე სტობიხვას მიდამოებში ღამე ავსტრიელების ერთი რაზმი თხრილებიდან ამოვიდა, რუსეთის თხრილებს მიუახლოვდა და ხელებ მაღლა აწეულმა ტყვედ დანებების სურვილი განაცხადა. მათ რუსების ბატალიონის უმფროსი პოლკოვნიკი სტეფანენკო მიუახლოვდა მაგრამ ავსტრიელებმა იგი მოჰკლეს. ჩვენმა მსროლელთა რაზმმა ავსტრიელების რაზმი ამოსწყვიტა. მდინარე დნესტრის სამხრეთით ჩვენმა ჯარმა 25 ვერსის სივრცეზე ტისმენიცის მიმართულებით შეტევა დაიწყო, მტერს თხრილები მიატოვებინა და გაირეკა. ჩვენ იერიშების წყალობით მტერი მთელ ამ ასპარეზზე უკუ ვაქციეთ და ბრძოლით ქ. ტლუმაჩი, დნესტრის აღმოსავლეთი მიდამოები და კოლომი-სტანისლავის რკინის გზის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე სიმაღლენი ავიღეთ. ჩვენი იერიში საარტილერიო ბრძოლით დაიწყო: ჩვენი ზარბაზნები მოწამლულ ჰაერით გატენილ ყუმბარებს ესროდნენ მტრის თხრილებს. მოპირდაპირემ ვერ გაუძლო ჩვენს იერიშებს და არტილერია მიატოვა. ჩვენი ცხენოსანი რაზმები უწესრიგოდ ლტოლვილ მტერს ფეხდა-ფეხ მისდევენ. ამ ბრძოლებში ერთმა ჩვენმა მამაცმა დივიზიამ 2000 გერმანელი წამოიყვანა ტყვედ და მრავალი ტყვიისმფრქვეველი და რამდენიმე ზარბაზანი ხელთ იგდო. ტყვეთა რიცხვი თანდათან მატულობს, მაგრამ საერთო რიცხვი ჯერ-ჯერობით გამორკვეული არ არის. ამგვარად გენ. ლეჩიცკის მამაცმა ჯარმა ამ თვალსაჩინო გამარჯვებით ერთხელ კიდევ ისახელა თავი.

**პარიზი**, 25 მკათათვე. საღამოს ოფიციალი ცნობა. სომის ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარმა ენის ტყისა და მონაკიუს ფერმის შუა მტრის თხრილების რამდენიმე წყება იერიშით აიღო. აქ ტყვედ ჩამოვიყვანეთ 120 ჯარის კაცი და ხელთ ვიგდეთ ათამდის ტყვიისმფრქვეველი. სომის სამხრეთით ჩვენი არტილერია კარგად მოქმედობს. მაასის მარჯვენა ნაპირზე ჩვენ ბრძოლით ტიომონის სიმაგრეების სამხრეთით წინ წავიწიეთ და 5 ტყვიის მტყორცნელი ხელთ ვიგდეთ. მკაცრი ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა სოფ. ფლერში რამდენიმე სახლი აიღო. ვოშაპიტარ-შენუას ბრძოლის ხაზზე სასტიკი საარტილერიო ბრძოლაა.

**პარიზი**, 26 მკათათვე, დღის ოფიციალი ცნობა. სომის ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარმა „139" სიმაღლის აღმოსავლეთით და გარდეკურს ჩრდილოეთით წინ წაიწია და 40 ტყვე წამოიყვანა. მონაკიუს ფერმის აღმოსავლეთით გერმანელები ორჯელ შეეცადნენ დაკარგული თხრილები უკან დაებრუნებინათ, მაგრამ მათი იერიშები ორჯერვე შევაჩერეთ. აქ ფრანგებმა ტყვედ წამოიყვანეს 2 აფიცერი და 230 ჯარის კაცი. მაასის მარჯვენა ნაპირზე ძლიერი საარტილერიო ბრძოლა განახლდა. დილის 5 საათზე ფლერისა და ტიომონის შუა მდებარე სიმაგრეებს გერმანელები იერიშებით ეკვეთნენ. ჩვენ ტყვიის მფრქვეველთა შემწეობით მტერს ქარიშხალისებური სროლა აუტეხეთ მაგრამ მიუხედავად ამისა იგი ტიომონის სიმაგრეებიდან ვერ დავძარით. ვოგეზებში გერმანელების რაზმები ჩვენს თხრილებს მიუახლოვდნენ, მაგრამ ტყვიისმფრქვეველთა შემწეობით გავფანტეთ.

**ლონდონი**, 25 მკათ. ოფიციალი. მდგომარეობა უცვლელია. ანკრომისა და სომის მიდამოებში საარტილერიო ბრძოლა არ შეწყვეტილა. პოზიერის აღმოსავლეთით მტერმა კონტრ-იერიშები განაახლა.

**ლონდონი**. 26 მკათათვე. ოფიციალი. პოზიერის ჩრდილო-აღმოსავლეთით საარტილერიო ბრძოლის შემდეგ მტერი ჩვენს სიმაგრეებს იერიშით ეკვეთა და დილის 4 საათზე ზოგი თხრილები წაგვართვა, მაგრამ კონტრ-იერიშების შემწეობით მტერი გავრეკეთ და დიდი ზარალი მივაყენეთ. 2 ძლიერი იერიში დილის 9 ს. მოვიგერიეთ.

**რომი**, 35 მკათათვე. ოფიციალი. ადიჯესა და იზონცოს შუა საარტილერიო ბრძოლაა. ტოფანის მიდამოებში ჩვენმა ჯარმა მტრის ძლიერი სიმაგრე აიღო. სეტტე-კომუნის სიმაღლეებზე მტერმა ნაღმები ააფეთქა და მონტე-პოზუბიოს თხრილები დააქცია. ამის შემდეგ იერიშით გვეკვეთა, მაგრამ მოვიგერიეთ. მონფალკონეს მიდამოებში ჩვენმა ქვეითა ჯარმა მტრის თხრილები აიღო. გუშინდელ ბრძოლებში ჩვენ ტყვედ წამოვიყვანეთ 3,600 ჯარის კაცი, 100 აფიცერი, ერთი პოლკის უფროსი და მთავარშტაბის მაიორი. ხელთ ვიგდეთ ბატარეია სამი ზარბაზნით, რამდენიმე ათეული ტყვიისმფრქვეველი, მრავალი ყუმბარა და საომარი მასალა. ჩვენმა მფრინავთა რაზმმა მტრის რკინისგზის ოპჩინოში ყუმბარები დაუშინა. ერთი ჩვენი და ერთი მტრის მფრინავი დაიღუპა.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

**ბულგარელები მდ. დუნაის ნაპიროებს ამაგრებენ.**

მდ. დუნაის სანაპიროებს ბულგარელები ამ ჟამად დიდის სისწრაფით ამაგრებენ. ამ მუშაობაში ოსმალთა ჯარიც იღებს მონაწილეობას.

**მდ. სტოხოდის ბრძოლების მიმოხილვა.**

მდ. სტოხოდზე ატეხილი ბრძოლები სამხედრო მიმომხილველთა საერთო ყურადღებას იპყრობს. ეს რამდენიმე ხანია ამ მდინარის და კოველის მიდამოებში მეტად სასტიკი ბრძოლები ხდება, მაგრამ ჯერ-ჯერობით გადამწყვეტი ბრძოლა არ დაწყებულა. გერმანელებმა, როგორც ვიცით, ბრძოლის ამ ხაზზე დიდძალ ჯარს მოუყარეს თავი. რუსეთის ასპარეზზე მომქმედ ყველა ჯარების მთავარ სარდლად ფელდმარშალი ჰინდენბურგი დანიშნეს. ამ გარემოებას თავის თავად რა თქმა უნდა დიდი გავლენა არა აქვს პატარ-პატარა ბრძოლებზე, რომელნიც მუდამდღე სწარმოებენ მდ. სტოხოდის მიდამოებში და კოველის ციხის მიმართულებით. აქ რუსების ჯარი ადგილობრივ ხასიათის ბრძოლებით სხვა და სხვა გამაგრებულ სოფლებს იღებენ და ნელ-ნელა წინ იწევენ. მაგრამ თუ ერთ-ერთმა მოწინამღდეგემ ამ ბრძოლის ხაზზე საერთო შეტევა დაიწყო და ბრძოლის ასპარეზი გააფართოვა, მაშინ საზაფხულო კამპანიის ბედი სწორეთ აქ გადასწყდება. გერმანელები დიდს იმედებს ამყარებენ იმ 300,000 ჯარზე, რომელიც მათ საფრანგეთის ასპარეზიდან გადმოიყვანეს.

ჯერ-ჯერობით კი საერთო სურათი ამ ბოლო დროის ბრძოლებისა შემდეგია: რუსებმა მდ. სტოხოდზე სტავკის მიდამოებში 10—12 ვერსით წინ წაიწიეს. ამ გვარად კოველის ციხეს რუსების ჯარი 35 ვერსის სიშორეზე მიუახლოვდა: ბროდისა და ტარნოპოლის შუა, მდ. გრაბერკისა და სერეტის ნაპირებით რუსებმა საზღვრიდან 12 ვერსით წაიწიეს წინ და მათი ბრძოლის ასპარეზი ტარნო-ლვოვის რკინის გზას 15 ვერსით დაუახლოვდა.

**როგორ მოქმედობს ინგლისის არტილერია.**

ინგლისის არტილერია ამ ბოლო დროს იმდენად განვითარდა და ტეხნიკურად წინ წაიწია რომ გერმანეთის არტილერიას არაფრით არ ჩამოუვარდება. ეს მტკიცდება მათი მოქმედებიდან. მას შემდეგ, რაც ინგლისის ჯარმა საფრანგეთში შეტევა დაიწყო პირველ ორი კვირის განმავლობაში მის არტილერიამ 10 მილიონი ყუმბარა ესროლია ე. ი. დღეში ნახევარ მილიონზე მეტი. ამ რიცხვში არ შედის ხელით სასროლ ყუმბარების ნაღმებისა და სხვ. რიცხვი.

**ჰუნგრეთის და გალიციის ლტოლვილნი.**

ბერნიდან იტყობინებიან, რომ კარპატის მთებიდან 100,000-დის ლტოლვილნი ბუდაპეშტში ჩამოვიდნენ. ლტოლვილნი ირწმუნებიან, რომ რუსეთის ჯარი მალე ჰუნგრეთს შეესევა. გენერალ ლინზინგენს პერემიშლის სიმაგრენი დაუთვალიერებია. 90,000 მეტი ლტოლვილი კრაკოვს ეწვივნენ. ლვოვში მრავალი მატარებლები მოდის დაჭრილებით სავსე.

**ქ. ლვოვის ბედი.**

გენ. ბემ-ერმოლის ჟურნალისტებისთვის განუცხადებია: „არავითარი შიში არა გვაქვს იმისა, რომ ამ მოკლე ხანში რუსის ჯარმა ქ. ლვოვი აიღოს. შესაძლებელია ზოგ ადგილას იძულებული გავხდეთ ჩვენი საკუთარი ტერიტორია მტერს მივანებოთ, ბრძოლის ასპარეზი შევავიწროვოთ, მაგრამ ეს არ უნდა გვაშინებდეს, რადგან ჩვენ საბოლოოდ გამარჯვების იმედი დიდი გვაქვს"-ო.

**სერბეთის ჯარი.**

როგორც ვიცით ამ სამი დღის წინად სერბეთის ჯარმა სალონიკის მიდამოებში ავსტრო-ბულგარეთის ჯარის წინააღმდეგ საერთო შეტევა დაიწყო. ავსტრიის ოფიციალი ცნობით, სერბები მეტის მეტად თავ-განწირვით იბრძვიან და ტყვედ ჩავარდნას—სიკვდილს ამჯობინებენ. ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ სერბეთის ჯარს კარგად დაუსვენია, ახლად დარაზმულა და ამჟამად დიდი წინააღმდეგობის გაწევა შეუძლიან.

**გერმანელების წყალ-ქვეშა ნავი „დოიჩლანდი".**

გერმანელების წყალ-ქვეშა ნავს „დოიჩლანდს" დილის 2 ს. და 30 წ. კუნძულ სოლომონის მახლობლად გაუვლია. ნავს თან ახლდა ამერიკელების საბუქსირო გემი „ტემინსი" და სამგზავრო გემი, რომელიც ამერიკელ ჟურნალისტებით იყო სავსე. ამინდი მშვენიერი ყოფილა. მიუხედავად ამისა ნავი ზღვის ზედა პირზე მისცურავდა და როგორც ეტყობა ზღვაში ჩამალვის სურვილი სრულებით არა ჰქონია. ნავი ვირგინიის მიმართულებით მიდიოდა.

**ავსტრიელების ზარალი.**

უცხოეთის გაზეთების კორესპონდენტების ცნობით მკათათვის პირველ ათი დღის განმავლობაში კოველის ციხის მიდამოებში ავსტრიელებს დაუკარგავთ 100,000 კაცი.

**მოკავშირეთა ჯარების მოქმედება.**

მას შემდეგ, რაც მოკავშირეთა ჯარებმა დასავლეთ ასპარეზზე შეტევა დაიწყეს, გერმანელები 137 კილომეტრით (კილომეტრი ვერსზე ცოტა ნაკლებია) დაუხევიათ უკან. ამავე დროს იტალიელების ჯარი 300 კილომეტრით წინ წაწეულან.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

გენერალ ლეჩიცკის არმიის მარჯვენა ფრთა სამხრეთ ბრძოლის ასპარეზზე მდ. ვორონას მიადგა და რამდენიმე გამაგრებული სოფელი აიღო. ეს ადგილები სულ ათი-ხუთმეტი ვერსით არის დაშორებული ქალაქ ტისმენიციდან. უნდა ველოდეთ, რომ რუსეთის მხედრობა მალე ამ ქალაქსაც აიღებს და მაშინ სამუდამოთ გასწყვეტს ვენგრიდან მარმაროშოზედ მომავალ რკინის გზას. თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ რკინის გზას, თვითონ ავსტრიელებმა დაგვიმტკიცეს. როგორც ვიცით, ერთი კვირის წინეთ გენ. ლეჩინსკის მოწინავე ცხენოსანმა ჯარმა სოფ. იარომისთან და იაბლონიჩკით გადასჭრა ეს გზა. ავსტრიელებმა მაშინათვე მიაშურეს მაშველი ჯარი და სასტიკი იერიშებიც დაიწყეს მოწინავე რაზმის წინააღმდეგ. არ ვიცით, რით გათავდა ავსტრიელების შეტევა. ეს ახლა არც ისე საინტერესოა, ვინაიდან გენ. ლეჩინცკი, დარწმუნებული ვართ, წინსვლას განაგრძობს და მალე ნადვორნია ტისმენიცის ხაზს გაიხდის საომარ ასპარეზად. ქალაქი ტისმენიცა რკინის გზების კვანძია. აქედან ერთი გზა ბუჩაჩისაკენ მიდის, მეორე—გალიჩისკენ. ამას გარდა თვითონ ქალაქი ზედ აკრავს ქ. სტანისლავოს. ამ მიდამოების დაპყრობით გენ. ლეჩიცკი სამუდამოდ მოსწყვეტს ჰუნგრეთს ბრძოლის ველიდან. ცხადია, ავსტრიელები ჯარების მოშველებას ველარ მოახერხებენ და მთელი ის ჯარი, რომელიც გამაგრებულია მდ. ლიპაზე მთავარ და ამასთანავე ძალიან მარჯვე საკვებ ბაზას მოწყვეტილი იქნება. ამასთანავე ნელნელა ირკვევა გენ. ლეჩიცკის მიზანი. მის არმიის მარჯვენა ფრთის მიმართულება გვარწმუნებს, რომ გენ. ლეჩიცკის განზრახვა აქვს ზურგიდან მოექცეს ავსტრიელებს. თუ ეს მოახერხა სახელოვანმა გენერალმა, უეჭველია მტერი მთელ გალიციის წინა პოზიციებს დასტოვებს და ისევე ძველ გზას მოჰნახავს. ესე იგი გამაგრდება პერემიშლის ბრძოლის ხაზზე.

დანარჩენ ადგილებიდან არაფერი ცნობა არ გვაქვს. არც ის ვიცით რა მოხდა კავკასიის ბრძოლის ველზე. უეჭველია იქ სასტიკი ბრძოლა დაიწყო და მთავარი შტაბი გვამცნობს მაშინ, როდესაც ბრძოლა დამთავრდება.

# ეროვნულ ძალთა შეკრება და არამართლმადიდებელი ქართველები

მეტად პატარა ერი ვართ. 7—8 მილიონი ქართველობა დღეს ორ მილიონამდე დასულა. ბედის ასეთი ცვალებადობა თუ უკუღმართობა ბევრს ჩვენს მტერს ფრთებს ასხავს, ჰგონებენ, ჩვენ სამუდამოდ დავეცით და ველარ შევძლებთ ადრინდელ პატივისა და სახელის აღდგენას. სხვამ რაც უნდა სთქვას, მაგრამ ჩვენ თავის თავისთვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანა ვერ შეგვიძლიან. წავიდა ის დრო, როცა ერის განვითარებას მხოლოდ ბიოლოგიის კანონებს უფარდებდნენ. ამბობდნენ: თითოეულ ერს განსაკუთრებული მისია აქვს შესასრულებელი და შემდეგ ჩასახვა-გაფურჩქვნის პროცესის ხანის გავლისა ჩერდება და დეგრადაციის, მოსპობის გზას ადგებაო. აკი ჩვენმავე მამულიშვილმა, ავტორმა „Письма о Грузіи"-სამ ამ სათუო კანონების მიხედვით ქართველი ერი მკვდრად და დაძაბუნებულად აღიარა თავის ნარკვევებში. დრეპერის თეორია უსიცოცხლო აღმოჩნდა. ჩვენი თანამემამულეც, ალბად, თავის სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში არ იზიარებდა ახალგაზდურ გატაცების დროს გამოთქმულ აზრებს. ქართველმა ერმა მე-XX საუკუნემდე შეინარჩუნა თავისი სახე და რვა საუკუნის საშინელმა განსაცდელმა და ქარიშხალმა ვერ მოუსპო მას წყურვილი არსებობისა. ამ რვა საუკუნემ ჩვენ საშინლად გამოგვცადა, დაგვსაჯა ფიზიკურად, სულიერად, უკან ჩამოვრჩით მსოფლიო კულტურას, მაგრამ მე-XIX საუკუნის სამოციან წლებში მაინც გაგვიჩნდა ძველი და ახალი თაობა, საერთო ცხოვრების ფერხულში ჩვენც გვქონდა ადგილი და ამით კიდევაც ვამაყობდით. ვგონებ საკმარისია ვახსენოთ სახელი ვახ. და გრ. ორბელიანებისა, ნ. ბარათაშვილისა, დ. ყიფიანისა, ი. ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა, ნ. ნიკოლაძისა და სხვათა მრავალთა, რომ არც ისე უნუგეშოდ წარმოგვიდგეს ბედი ჩვენი ერისა.

ასე იყო მე-60 წლებში წარსულ საუკუნისა, მაგრამ ის, რანიც ვიყავით ამ რვა საუკუნის წინად, არც ისე ადვილ დასავიწყია. გასაკვირალი არაა ამიტომ თუ ყოველთვის, როცა ქართველთა წარსულზე ვლაპარაკობთ, უნებლიედ „ოქროს ხანა წამოიჭრება თვალწინ. ბასრ ნაკრავი ერი ვერ ივიწყებს თავის შორეულ წარსულს. იმზომ ნათელი და წარმტაცია ეს წარსული, რომ თამარის ხანა მხოლოდ დღეს, მეოცე საუკუნეში ხდება საერთო ნატვრის საგნად. დიდების, უძლეველობის, სულიერ ხალვათობის და ნივთიერ დოვლათობის ხანად ჩვენს ისტორიაში მხოლოდ თამარის მეფობა ჩაითვლება. ამის შემდეგ კი რიცხვმრავალი ერი თან და თან იწრიტება, ქვეითდება და ბოლოს ოდნობით მეთორმეტე საუკუნის მეხუთედი ძლივსღა გადავრჩით და დავკარგეთ სახელმწიფოებრიობა მიუხედავად ამისა, გარეგან ფერის ცვლას ჩვენში ვერ მოუკლავს წყურვილი არსებობისა.

როგორიც

უნდა იყოს განსხვავება ჩვენში არსებულ სხვა და სხვა მიმდინარეობასშორის, უეჭველია ერთი ფაქტი, სახელდობრ ის, რომ ყველა ჩვენში მომქმედი ჯგუფი ქართულ ეროვნულ ცხოვრებას ეყრდნობა და გარეშე ამისა სამოქმედო სარბიელი წარმოუდგენელია. ყველანი ვგრძნობთ თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნულ თეატრს, პრესას, მწერლობას, ხელოვნებას და რელიგიას. სადაც არ უნდა წავიდეთ თავს დაგვტრიალებს „ქართული სიტყვა", დედის ტკბილი ნანა და მშვენიერ ბაღ-ველ-მინდვრების მოგონების ჯადოქრული გავლენა. ეროვნულ ორგანიზმის მთლიანობისათვის დამახასიათებელ მოვლენათა ცნობა და მათი მსახურება გულგრილსა და ორჭოფულ დამოკიდებულებას ვერ ითმენს. გარეშე ერის დიადი ცნობებისა სხვა უკეთესი კაცობრიობას ჯერ არ შეუმუშავებია და ვინც სხვა რამის მტკიცებას მოჰყვება, ძალა არ ეყოფა და უძლები შვილის ხვედრს გაიზიარებს. ტკბილია სამშობლო და მრავალის მეტყველი მისი წარსული. არც ერთი გრძნობა ისე ძველი და უცვლელი არ არის, როგორც სამშობლოს სიყვარული. მაგრამ მწარეა ხვედრი იმ ერისა, რომელიც ოდნობით მეტად მცირე რიცხვამდე დასულა და ამავე დროს შერჩენია მოგონება ძველი ცხოვრების უზრუნველყოფა მდგომარეობისა. სადაც არ უნდა ვმუშაობდეთ ყოველგან რიცხვი და მხოლოდ რიცხვია საჭირო, გაზეთს ესაჭიროება მკითხველი, თეატრს—მსმენელი, ლექტორს—აუდიტორია, ეკლესიას—მლოცველი. რიცხვითი განსაზღვრულობა წარმოშობს კულტურულ მუშაობის სფეროს შეკუმშვას, ხოლო ორივე ეს ერთად ნივთიერ სიძაბუნეს და დაქვეითებას. ამ გარემოებას არა-მცირედი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ცხოვრებისათვის. ამბობენ ქართველი ერის ოდენა კულტურული დაწესებულებანი არც ერთ ჩვენისთანა და უკეთეს ბედში მყოფ ერსაც არ მოეპოვებაო. ეხლა წარმოვიდგინოთ შინაარსი და უფერულობა ყველა ასეთ საზოგადოებათა მოქმედებისა და მაშინ მოვლენის მიზეზის შორს ძებნა აღარ მოგვინდება.

**მეტად პატარა ერი ვართ**, უნდა გავიმეოროთ და ხაზიც გავუსვათ. ამასთან ერთად კულტურული მუშაობა ქართველი ერის შემადგენელ ნაწილთა შორის თანაბრობით, პროპორციით არ არის განაწილებული. განსაკუთრებით ითქმის ეს **არამართლმადიდებელ ქართველებზე**, გარდა ქართველ კათოლიკებისა. ლაზები, აჭარლები, ქართველი სპარსელები, ინგილოები, აფხაზები, ოსები, ქართველი ისრაელები და ქართველი გრიგორიანები, აი რაგვარ სიმრავლესთან გვაქვს საქმე მკვიდრ ქართველებს, რათა ეროვნული მთლიანობის დროშა აღვმართოთ ყველა იმ კუთხეში, სადაც ტომით ქართველთა და ან მის მონათესავე შტოთა მიერ წმინდა ქართული მეტყველი ენა გაისმის და დაცულია ზნე-ადათ-ჩვეულებანი. დღეს ჩვენ პრესაში და პერიოდულ გამოცემებში საპატიო ადგილი აქვს დათმობილი აჭარელთა საკითხს, ამ ბოლო დროს ინგილოთა ხვედრიც გვაინტერესებს, ვსწერთ აფხაზების ტკივილებზედაც, მაგრამ ყველა ეს მაშინ, როცა სადმე იელვებს ჩვენდა შესამუსრად მომართული ხმალი და მოისურვებენ ქართველთა ისტორიულ სიწმინდეთა შელახვასა და ერთობამთლიანობის დარღვევას. სხვა დროს შესაძლებელია რომელიმე გულშემატკვარი კალმოსანიც აღვიძებდეს მძინარ საზოგადოებრივ აზრს, მაგრამ ყველა ასეთ თავის გამოდებას აქვს შემთხვევითი ხასიათი და ჩვენში საერთოდ რომ ვსთქვათ, სისტემატიურად არ სწარმოებს არა მართლმადიდებელ ქართველთა სულიერ ეროვნულად შემოერთების საქმე. ჩვენი ეროვნული უმოქმედობის და უსისტემობის დამახასიათებლად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ჩვენი მეზობლები **ქართველ გრიგორიანებს** ასომხებენ და ეს მაშინ, როცა ქართველი გრიგორიანები ჩვენ ეროვნულ სხეულთან ყველაზე უფრო მჭიდროდ უნდა იყვნენ დაკავშირებულნი. ქართველი გრიგორიანები ჩვენთან უნდა დარჩნენ ჭირსა და ლხინში და მათი ჩვენი ხელიდან წასვლა სწორედ რომ საუკუნო უსიამოვნებისა და უთანხმოების დიდედ აღიმართება ისედაც გამწვავებულ ურთიერთობაში. ქართული მწიგნობრობის, პრესის, თეატრის, ეკლესიის და საერთო ეროვნული ცხოვრების აყვავება წარმოუდგენელია თუ არ დატრიალდა ჩვენში მეტად საქმიანი მუშაობა ეროვნულ ძალთა შეკრება—მობილიზაციისა. ასეთ მუშაობას უნდა მიეცეს მტკიცე სისტემატიური ხასიათი. ყოველი მხარე ჩვენი განაპირა კუთხეების ცხოვრებისა სინათლეზე უნდა დარჩეს გამოტანილი. ყოველდღიური უფერული ცხოვრება, ისტორიულ „თავგადასავალის" თხრობა და აკადემიური ხასიათის ნარკვევები ერთმანეთს უნდა გადაეჭდოს და უნდა აღსდგეს ერთი მთლიანი სახე საქართველოსი. ეს შემკრებულობითი ძალა ჩვენში არსებობს, მხოლოდ საჭიროა მას სისტემისა და ვალდებულობის ხასიათი მიეცეს. საქართველოს შინაგან ძალთა განვითარება და მთლიანი სახის აღდგენა მოითხოვს მეტს ყურადღებას განაპირა კუთხეთა ქართველობისადმი. ერს, რომელსაც სწყურია არსებობა და ამის ისტორიული უფლება მოეპოვება, ვერ შეუძლია გვერდი აუქციოს იმ მარტივ ჭეშმარიტებას, რომ სულიერ მატერიული კულტურისათვის თავის გამოდება და მისი განმტკიცება პირველ-ყოვლისა საჭიროებს რიცხვს და მხოლოდ რიცხვს. რიცხვითი გაძლიერება და კულტურულად მოღონიერება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ყველა სარწმუნოების ქართველნი ერთ ჰერ ქვეშ იგრძნობენ თავს. დღემდე ჩვენ მოწამენი ვხდებით ერთი უცნაური მოვლენის. არამართლმადიდებელი ქართველნი ჰგოდებენ და სჩივიან თავიანთ ტკივილებზე, გარედან მოელიან ხსნას, ხოლო ნაკლებად სწარმოებს მუშაობა თვით

# უკანასკნელი დეპეშები

(პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან)

**რუსეთის ასპარეზზე:** მდ. დნესტრის სამხრეთით რუსებმა აიღეს: ქ. ნიჟნიოუვი, სოფ. ბრატიშუვი, პალახიჩი, ნადორაჟნუ, ჩარნოლოზცე, კრჟივოტულანოვე და დაბა სტინია. მტერი უკან იხევს. მდ სერეტზე რუსებმა 22 მკათათვიდან 24 მკათათვემდე ტყვედ წამოიყვანეს 8,415 ჯარისკაცი და 166 აფიცერი. მდ. დნესტრზე ტისმენიცის მიმართულებით რუსებმა 25 ვერსის სივრცეზე შეტევა დაიწყეს.

**საფრანგეთის ასპარეზზე:** მაასისა და სომმის მიდამოებში გერმანელებმა იერიშები განაახლეს. გილლემონას და „139" სიმაღლის აღმოსავლეთით ფრანგებმა წინ წაიწიეს.

**ინგლისის ასპარეზზე:** პოზიერის აღმოსავლეთით მტერი იერიშებს განაგრძობს.

—

21 მკათათვეს, დილის 9 საათზე ლონდონში სიკვდილით დასაჯეს ირლანდიის აჯანყებულთა მეთაური კეზმენტი.

—

ლონდონიდან იტყობინებიან: ჰუნგრეთის მაღალ წრეებში არ სჯერათ, რომ ლვოვი ავსტრიელებმა კიდევ დიდხნობამდე გაიმაგრონ.

—

გერმანეთის მთავარი შტაბი კორესპონდენტებს დროებით ნებას არ აძლევს აღწერონ ბრძოლის ველზე მომხდარი ამბები. ამბობენ, ეს განკარგულება ომის საიდუმლოებით არის გამოწვეული.

—

სომაზე საფრანგეთ-ინგლისის იერიშების და გალიციაში რუსთა ჯარის ბრძოლის შემდეგ გერმანეთის სამხედრო მიმომხილველებმა წერის კილო შეიცვალეს. წინად ამტკიცებდნენ, გერმანელებს ბრძოლის მეთაურობას ვერ წაართმევენ, ვერდენზე იერიშებს მიიტანენ და სხვა ასპარეზებზე მოგერიების ტაქტიკას დაადგებიანო. ეხლა კი აღიარებენ, გერმანელები ყველგან თავს იცავენ, მაგრამ მოკავშირეთა ყოველი დასხვენება გერმანელების მდგომარეობას აუმჯობესებსო.

—

რუმინეთის გაზეთ „უნივერსელ"-ში მოთავსებულია წერილი ამ სათაურით—„არ ვიომებთო", სადაც ნათქვამია: ამ ომიანობის დროს იყო შემთხვევა, რომ სახელმწიფომ კავშირს კი არ გამოუცხადა ომი, არამედ კერძო მტერს. ჩვენ თუ ვიომეთ, ვიომებთ არა რომელიმე კავშირის ან შეთანხმების წინააღმდეგ, არამედ მტრის წინააღმდეგ. რუმინეთს გასასწორებელი ანგარიში აქვს ჰუნგრეთთან და სასურველია, რომ მხოლოდ მასთან ვიომოთ.

შეიძლება საჭიროებამ გვაიძულოს ავსტრიასაც ვეომოთ, მაგრამ გერმანეთის წინააღმდეგ რუმინეთი არ გაილაშქრებს, რადგან გერმანეთის ინტერესი რუმინეთისას არ ეწინააღმდეგება.

გერმანეთი ჰხედავს, რომ რუმინეთი რუსეთის წინააღმდეგ ზღუდეა, რომელიც ხელს უშლის რუსეთს ევროპისაკენ გაიწიოს.

—

ოფიციალად გამოცხადებულია ბულგარეთ-რუმინეთის საზღვრის დაკეტვა.

—

ბრატიანოს უთქვამს: ხანგრძლივ სისხლის მღვრელ ომში არ ჩავერევიო. აქედან გაზეთები დაასკვნიან: რუმინეთი მხოლოდ მაშინ მიემხრობა ან ერთს, ან მეორე სახელმწიფოს, როდესაც ომის გადამწყვეტი წუთი დადგებაო.

—

გრაფი რევენტლოფი იტყობინება: „ცირსეულ ზავის ჩამომგდებ" კომიტეტს 100 პროპაგანდისტი გაუგზავნია გერმანეთის, ავსტრიის, ბულგარეთის და ოსმალეთის ქალაქებში, რათა იქადაგონ დაუყოვნებლად ზავის ჩამოგდება უანექსიოდ. ამბობენ ამ კომიტეტის დამაარსებელს ვენდელს კანცლერი ეხმარებაო. პანგერმანისტებს ამდენივე რიცხვი პროპაგანდისტებისა დაუგზავნიათ წინააღმდეგ აზრის საქადაგებლად.

—

ზავის ჩამომგდებ კომიტეტის პროპაგანდისტები ემხრობიან გერმანეთის მთავრობას და ჰქადაგებენ: რუსეთი აღმოსავლეთისკენ უნდა დავსწიოთო.

—

როგორც რუსეთის, ისე საზღვარგარეთ პოლიტიკურ წრეებში ხმა დადის, ვითომც რუმინეთი მოკავშირეებს მიემხრობა, ავსტრია-ჰუნგრეთს ომს გამოუცხადებს, ხოლო გერმანეთს გვერდს აუხვევს, როგორც იტალია მოიქცაო.

მართალია, რუმინეთის მთავრობა ომში ჩარევის ამბავს უარჰყოფს, მაგრამ ამას მხოლოდ იმისთვის სჩადის, რომ ყურადღება მთავარ საკითხიდან სხვაგან გადაიტანოსო.

რუმინეთის გამოსვლის დრო ძნელია აღინიშნოს, მაგრამ რომ ეს მალე მოჰხდება, ცხადია. მთავრობის წრეებში დიდი ხანია ომის საკითხს არკვევენ. როდესაც ბულგარეთი ბრძოლაში ჩაერია, გარანტია მიიღო, რომ რუმინეთი თავს არ დაესხმოდა. ასეთსავე გარანტიას ბულგარეთის მხრით რუმინეთი საჭიროებს, წინააღმდეგ შემთხვევაში პირველ შემთხვევაშივე ანგარიშის გასწორება რუმინეთს ბულგარეთთან მოუხდებაო.



**კიკნა-ფშაველი**

(ტრაგიკულად გარდაცვლილ მგოსნის ნეშტს დღეს მიაბარებენ მიწას თიანეთში).

## ახალი ამბავი

✦ მეფის ნაცვლის სახელწოდების დღეს გუშინ ალექსანდრე ნეველის ტაძარში საქართველოს ექსარხოსმა ეპისკოპოსებ ანტონის, დამიანეს, პიროსისა და სამღვდელოების თანამწირველობით გადაიხადა სამადლობელი წირვა და პარაკლისი. პარაკლისს დაესწრნენ მეფის ნაცვლის სამხედრო და სამოქალაქო ნაწილთა თანაშემწენი, წარმომადგენელნი თავად აზნაურობისა, ქალაქის და ყველა უწყების წარჩინებულნი პირნი. ქალაქი ბაირაღებით იყო დილით მორთული, ხოლო საღამოთი გაჩირაღდნებული.

✦ **მილოცვა.** გუშინ ნაშუადღევს 2 საათზე საქართველოს ექსარხოსი კოჯორში [illegible]

✦ მეფის ნაცვალს 26 მკათათვეს კოჯორში [illegible] პეტროგრადში გამგზავრების წინ.

✦ **საქართველოს ექსარხოსი** დღეს საღამოს მატარებლით ბორჯომს მიემგზავრება.

✦ **საქალაქო კომიტეტში**, რომელიც ჯარში გასაწვევთ შეღავათს აძლევს, 26 მკათათვეს ქალაქის მოურავის მოადგილის თ-დ ალ. მ. არღუთინსკი დოლგორუკოვის თავმჯდომარეობით კრება მოხდა. კრებამ მოისმინა: 1) კარლინსკის ზეთისა და საპნის ქარხნის 17 ჯარში გასაწვევ პირთა. მათ შორის 8 პირველ იანვრამდე გაანთავისუფლა, 5 ორი თვით და ოთხს უარი უთხრა. 2) ბელზიცმანის წყლის საყვან ქარხნიდან ორ კაცს მისცა შეღავათი პირველ იანვრამდე. 3) ბოსტნეულობის სახმობ ორგანიზაციიდან—ერთს. 4) „საქართველოს" რედაქციიდან ათს (თხოულობდა 14). 5) „თანამედროვე აზრიდან" თხუთმეტს (თხოულობდა 16). 6) „მშაკიდან"—შვიდს (თხოულობდა 7). 7) ძმათა ზლოტორსკის ქარხნიდან ერთს (თხოულობდა 4) და ჯარის საჭიროებისთვის ხორცის დამზადებელ კომიტეტიდან ოცდა რვას (თხოულობ. 34).

დღეს კომიტეტი განიხილავს თხოვნებს, მეაფთიაქრებისა და სტამბის მომუშავეთა.

✦ ბ-ნ მინასიანცს, რომელიც ვარდისუბნის ქუჩიდან მოიყვანეს ქალაქის საავადმყოფოში, ხოლერა არ აღმოაჩნდა და საეჭვოთა სიიდან ამოშალეს იგი. ჩერქეზიშვილის ქუჩიდან მიყვანილ ქ-ნ კუდრიავცევის ქალის განავალში ვიბრიონები აღმოჩნდა, რომელნიც ხოლერის არის თუ არა, გამოარკვევენ.

✦ **წყლის ქიმიურად გასინჯვა.** [illegible]

✦ **პოეტის ნეშტის დაკრძალვა.** დღეს, 28 მკათათვეს, თიანეთში მიწას მიაბარებენ ტრაგიკულად გარდაცვლილ მგოსან კიკნა ფშაველას (სიკო ბადურიშვილის) ნეშტს.

✦ **სამძიმრის დეპეშა.** გული დამწყვიტა თანამოღვაწის ალექსანდრე ნათაძის გარდაცვალებამ. უგულითადეს სამძიმარს ვუთვლი განსვენებულის ოჯახს და ძმის წულებს.

**ალექსი ჭიჭინაძე.**

✦ **ქუჩების მორწყვა.** ქალაქის გამგეობამ განკარგულება მოახდინა, რომ ზოგიერთ ქუჩების მორწყვა განახლდეს. წყალი თუ საკმაოდ დარჩა, ახლო მომავალში ყველა ქუჩების მორწყვას განაახლებენ, რომლებიც წინად ირწყვებოდა.

**ქ. პეტროგრადი.**

აქაურმა რუსულ დრამატიულ საზოგადოებამ თავის უკანასკნელ სხდომაზე განიხილა და პირველ პრემიით 1,000 მან. დააჯილდოვა ნიფ. ვექილის პავლე მოსულიშვილის ოთხმოქმედებიანი დრამა სტუდენტების ცხოვრებიდან—„ცხოვრების ახლო".

**თელავი.**

ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების თელავის განყოფილებამ 20 მკათათვეს აქაურ შემ.-გამ. ამხანაგობის დარბაზში გაიმართა ილიას საღამო.

**ანაგა.**

ახლად არჩეული ერობის მამასახლისი ივანე მჭედლიშვილი (ბინდერი) დღემდისაც არ დაუმტკიცებიათ.

**ს. ვეჯინი** (სიღ. მაზ.)

ამასწინად ყაჩაღებმა განთიადისას თავისი საკუთარი ზვრიდან **გაიტაცეს მდიდარი სოვდაგარი იოსება იაროვი.** გატაცების დროს, მისმა მოჯამაგირემ (ქართველმა) ყვირილი მორთო, რისთვისაც იქვე მოჰკლეს. ამბობენ იაროვს დიდ ფულსა სთხოვენო. პოლიცია ფეხზე სდგას, მაგრამ დღევანდლამდე ყაჩაღების ასავალ-დასავალი და იაროვის ბედი არავინ იცის.

**ს. ქიზიყი.**

მშვიდობიანობის დროს ქიზიყში აქამდე მკა მთლად გათავებული იყო და გაცხარებული კალოობა იყო ხოლმე გაჩაღებული. წელს ჯერ მკაც არ მოთავებულა მუშა ხელის სიმცირის გამო, თუმცა ქალიან-ბავშვიანათ მინდვრად არის ხალხი გასული. პურის მოსავალი ძალიან მცირეა.

თამბაქოს კარგი პირი უჩანს. დღიურათ მუშა ქალი ორი მანეთია დამქირავებლის ხარჯით, 12 წლის ბავშვები მანეთ ნახევარი. თვიურად კაცის ხელფასი 60—100 მანეთს უდრის დამქირავებლის ხარჯით.

მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტის ინსტრუქტორმა ვასილ მჭედლიშვილმა დაიარა ქიზიყის სოფლები და მხოლოდ სიღნაღში აღმოაჩინა ღვინის ფალსიფიკაცია.

## დეპეშა

**მიხაილოვო**

(საკუთ. კორესპონდ.).

რედაქციამ ფრიად სამწუხარო დეპეშა მიიღო: სურამში შალვა დადიანის ბინაზე მძიმედ ავად გახდა მსახიობი ვალიკო შალიკაშვილი. საჭიროა სწრაფი ნივთიერი დახმარება.

**ნაკაშიძე.**

მაჰმადიან-გრიგორიან-კათოლიკე-ისრაელთა შორის. ჩვენ ვიცნობთ ისრაელის ჩივილს, გვესმის და აღფრთოვანებაში მოვყევართ კათოლიკეთა დაუფასებელ ღვაწლს ქართული ეროვნული იდეალის წინაშე, აგრეთვე ჩვენი ტრაგედიის კვანძს შეადგენს ხვედრი ქართველ მაჰმადიანებისა, მაგრამ რა? მხოლოდ გვესმის, ვიტანჯებით, ვბორგავთ, რაღაცა გვინდა გავაკეთოთ, დავცემთ ყიჟინას და შემდეგ კი ისევ გავჩუმდებით, მცონარეობას ვეძლევით და საკუთარ ჭირვარამში ვეფლობით. რა უშველის ასეთ გაფანტულობა-დაქსაქსულობას? ერთად-ერთი იმედი ადგილობრივ კულტურულ-ეკონომიური ხასიათის წრეთა დაარსებაა. საკმარისი არაა დრო გამოშვებით წერილების ბეჭდვა, არამედ მუდმივი ხელმძღვანელი ორგანოა საჭირო, რომელიც რეალ სამსახურს გაუწევს **ადგილობრივ არა მართლმადიდებელ ქართველთა** მრავალ კულტურულ-ეკონომიურ საჭიროებათ. ასეთი მუშაობა ჩვენში, ვგონებ, ახალი არ უნდა იყოს. როგორც ვიცით, ბათომში გამოდიოდა „ბათომის გაზეთი", რომელმაც გვერდი ვერ აუქცია აჭარელთა საკითხს და ბოლოს მთლად ამ საკითხის ეროვნული თვალსაზრით გაშუქების ორგანოდ გადაიქცა. სიღნაღში გამოდიოდა „ხმა კახეთისა" და თუ მან ინგილოთა საკითხი ვერ ასწია სასურველ სიმაღლემდის, ეს, ალბად, საპატიო მიზეზებს მიეწერება. ერთ დროს ამბობდნენ, რომ სოხუმში პატარა ქართული გაზეთის გამოცემას აპირობენო. [illegible] ეს რომ მომხდარიყო, გაზეთი უეჭველად აბხაზთა საკითხის სამსახურს შეალევდა თავის ძალ-ღონეს. თვით ქართლის გულში, გორში გამოდიოდა გაზეთი „ქართლი", საიდანაც, როგორც ვიცით, სწადდათ სომხებს ქართული გრიგორიანებისა და ქართულად მოლაპარაკე სომხების გათვითცნობიერების საქმის დაწყება.

როგორც ვხედავთ, ყველა კუთხეში ყოფილა სურვილი ქართველთა სხვა და სხვა სარწმუნოების შტოთა გაერთიანება-გათვითცნობიერების საქმის ცენტრიდან ადგილობრივ პრაქტიკულ ნიადაგზე გადატანისა. როგორ მოხდება ეს: ცალ-ცალკე გაზეთის დაარსებით თუ კულტურულ ეკონომიურ ხასიათის ორგანიზაციათა შექმნით ადგილობრივ, ეს სულ ერთია—ოღონდ კი საძირკველი ჩაეყაროს **არა-მართლმადიდებელ ქართველთა შინაგან ძალების ამუშავებით ეროვნულ-კულტურულად გათვითცნობიერებასა და გაერთიანებას.** ეს გაერთიანება უნდა მოხდეს ადგილობრივად ერთმანეთ შორის და შემდეგ დანარჩენ ქართველობასთან. თუ პრაქტიკულად არ ვსცადეთ მათი ადგილობრივ ეროვნულად დაახლოვება, თეორიულად მეტად ძნელია გაუნათლებელ ადამიანისათვის ერის ცნებაში რელიგიურ და ტომობრივი მომენტის ერთი მეორისაგან სასტიკად განსაზღვრა, გარჩევა. ეს ფრიად საძნელოა საშუალო განათლების ადამიანისათვისაც, ვინაიდან ჩვენ მოწამენი ვხდებით იმისა, თუ როგორ სომეხთა მოწინავე ინტელიგენცია არ არჩევს ტომობრივ და რელიგიურ მომენტს ერის ცნების' დახასიათებაში და **პრაქტიკულად ცდილობს ქართველ გრიგორიანების გასომხებას.** სომხური ინტელიგენცია ერის ცნების განსაზღვრაში პირდაპირ ბარბაროსულ გზას ადგია. ასეთივე და უარესი იქნება სომხის დაბალი წრეები, ვინაიდან ეს უკანასკნელნი მთლად სომხის ინტელიგენციის მაჩანჩალანი გამხდარან. სწორედ ამიტომ არის საჭირო არამართლმადიდებელ ქართველებში არ ჩაეწვეთოს შხამიანი აზრები ეროვნული ცნების ყალბად გაგებისა. ქართველმა ინტელიგენციამ სისწორით გაიგო ცნება ეროვნული, ხოლო მდაბიო ხალხისათვის საჭიროა თვით ცხოვრებაში იხილოს ცხოველმყოფელობა თეორიულ აღსარებით სწორი დებულებისა. ქართულ კულტურულ-ეკონომიური ხასიათის ორგანიზაციათა შექმნა აფხაზეთში, საინგილოში, აჭარაში და ქართველ ისრაელთა სამყოფელო ადგილებში, ოსების ქართველობასთან დაახლოვება, ქართველ გრიგორიანების ბეჯითად მოქცევა და ყველა ამ საქმის თბილისის ცენტრიდან პერიფერიებში გადატანა, ასეთია ერთად-ერთი სწორი შეხედულება მომავალ მუშაობაზე საქართველოს განაპირა კუთხეებში. ომის შემდეგ ვიგრძნობთ, თუ რა საშინელი მსხვერპლი გავსწირეთ და ამიტომ ადრევე უნდა შევუდგეთ მზადებას, რომ **არც ერთი ქართველი, სადაც უნდა იყოს იგი, არ უნდა დარჩეს ეროვნულ ბჭეს გარეშე და ავად თუ კარგად გაიზიაროს ხვედრი თავის საერთო სამშობლო საქართველოსი.**

**დ. არონიშიძე.**

# ორი მსხვერპლი

უცნაური და მოულოდნელი ბევრი რამ ჰხდება ცხოვრებაში.

უცნაური და მოულოდნელი იყო ორ ახალგაზდათა ტრაგიკული სიკვდილი:

კიკნა-ფშაველის და ხერხეულიძის.

ორთავეს ვიცნობდი, ვაფასებდი.

ორთავე იმედებს იძლეოდნენ მომავლისათვის.

ორთავე დიამეტრიულად მოწინააღმდეგე მიმართულების მსახურნი იყვნენ, მაგრამ იმავე დროს საოცარის სიყვარულით ჰფურჩქნიდნენ ერთურთისადმი დამოკიდებულებას.

კიკნა-ფშაველა მგოსანი იყო.

ხერხეულიძე ჟურნმის მსახური და მის თხზულებათა გამომცემელი.

ვინ იტყოდა ძვირს მათს შესახებ? არავინ.

ვერც თვითონ იწინასწარმეტყველებდნენ შეუსაბამო საქციელის ოდესმე მოხდენას.

მაგრამ ყველაფერი იცვლება.

საიდუმლოებამ ჩანთქა მათი მეგობრობის ჯაჭვის გაწყვეტის მიზეზები.

ორთავე ერთს დღეს დაიღუპნენ...

რად და რისთვის?

არ ვიცით.

ვერ გავიმეტებთ წყევას:

სიჭაბუკემ ბევრი რამ იცის უგნურ გატაცების ფრთეთა შესხმის დროს.

ორთავე ძვირფასი იყვნენ...

ორთავეს პატიება შევუთვალოთ...

უკვდავი იქნება ხერხეულიძე ხალხის თვალში, როგორც გულწრფელი მოღვაწე, რომელიც ფრთეთა გაშლას თხოულობდა.

უკვდავია კიკნაც თავისი შეიძლება კიკნა ლექსებით და პოემებით, მაგრამ მადლიანი ჰანგებით, რომელთაც სავსებით დამთავრება ვერ ეღირსათ.

განისვენეთ ძვირფასნო...

საფლავშიაც ვარდის შტო ერთურთს გაუწოდეთ შენდობის სახით...

**დ. კასრაძე.**

# ავტოკეფალიის საკითხი

„რუსკოე სლოვო" სწერს: სინოდი მოკლე ხანში განიხილავს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის საკითხს; ობერ-პროკურორი ვოლჟინი მიტომაც გაემგზავრა კავკასიაში, რომ გაეგო ამ რეფორმის აუცილებლობა; სინოდის უმრავლესობა წინააღმდეგია რეფორმის, მაგრამ უთმობენ იმის გამო რომ უკანასკნელ დროს რუსები კავკასიაში იმარჯვებენ და სწორეთ ისეთ ადგილებში, სადაც უმრავლესობა ქართველი მოსახლეობისაა; ამისათვის მალე გაიწვევენ პეტროგრადში საქართველოს ეგზარხოსს პლატონს და ავტოკეფალიას გაიყვანებენ საეკლესიო გამგებლობის წესითაო.

# ობერ პროკურორის გაცილება

26 მკათათვეს ნაშუადღევის 5 საათზე ექსარხოსის კარის ეკლესიაში თავი მოიყარეს მღვდელ-მთავრებმა დამიანემ ერევნისა, პიროს ალავერდელმა, სასინოდო კანტორის უფროს მოხელეებმა და ქალაქში მყოფ სამღვდელოებამ. გადახდილ იქმნა პარაკლისი არქ. ნაზარისა და ექსარხოსის ეკლესიის კრებულის მიერ, რომელიც დამთავრდა ობერ პროკურორის მრავალ-ჟამიერით. პარაკლისის შემდეგ არქიელის ბინაზე გავიდნენ ყველა იქ შეკრებილნი. სასინოდო კანტორის პროკურორმა ბ. პაპოვმა პურ-მარილი მიართო, ხოლო არქიელმა სიტყვით მიმართა. თვის სიტყვაში არქიელმა იმედი გამოსთქვა რომ ობერ პროკურორი არა უგულებელ ჰყოფს ივერიის ეკლესიის საჭიროებაზე შუამდგომლობას, როგორც სინოდის ისე ხელმწიფის წინაშე. გამოსთქვა სიხარული რომ ობერ პროკურორი ადგილობრივ გაეცნო ყველა ამ საჭირ-ბოროტო საკითხებს საქართველოს ეკლესიისას და დასასრულს სთხოვა თვის სამწყსო სამღვდელოების მხრივ უქვეშევრდომილესი გრძნობანი გადასცეს ხელმწიფე იმპერატორს. ობერ-პროკურორმა უპასუხა, რომ საქართველოში ყოფნის დროს ორგვარმა გრძნობამ შეიპყრო იგი, ერთია სასიხარულო საქართველოს კეკლუც ბუნება მდებარეობით აღძრული, მეორე სამწუხარო ივერიის ეკლესიის მოუწყობლობის გამო და მე, სთქვა დასასრულ თვისი სიტყვისა ობერ-პროკურორმა, სასიამოვნო მოვალეობად ჩავთვლი დავეხმარო და მხარი დაუჭირო ყველა თქვენს შუამდგომლობასა და თხოვნას. ობერ-პროკურორის სიტყვის შემდეგ ყველა იქ შეკრებილთ მრავალჟამიერის გალობით გამოაცილეს კარებამდის.

სრულ 6 საათზე ობერ-პროკურორი თვის თანამგზარ ბ.ბ. იაცკევიჩის და თ-დ მიშეცკისთან ერთად ავტომობილით გაემგზავრა თბილისიდან. გზაზე, ყორღანოვის ქუჩაზე დაათვალიერა ბოდბის მონასტრის წმ. ნინოს პატარა განყოფილება გაეცნო მათ საჭიროებას და აღუთქვა ამ მონასტრის გასაფართოვებლად თავისი დახმარება.

# შავი ქვის საქმე

**ბელგეთის** სამართალმცოდნე საზოგადოების დავალებით საქართველოში მიდის პროფესორი ბრიუსელის უნივერსიტეტისა ვიქტორ ბრიენი; მან უნდა შეისწავლოს ჭიათურის შავი ქვის მადნეულობის მდგომარეობა და აგრეთვე დაათვალიეროს სხვა დარგი მადნეულობის წარმოებისა.

**ფოთიდან** იტყობინებიან რომ ამ ჟამად იქაურ საწყობებში შეგროვილა აუარებელი რიცხვი შავი ქვის მადნისა—5 მილიონ ნახევარ ფუთამდე. პატრონებს იმედი ჰქონიათ გაზიდვის, მაგრამ გემებს არ მიაქვთ, რადგან სხვა საქონლის ფრახტები უფრო მაღლა სდგას.

# ეროვნული ვითარება

**სომეხთა ცხოვრებიდან.** თანახმად კავკასიის გადმოხვეწილთა მზრუნველ კომიტეტისა ამ ჟამად კავკასიის გუბერნიებში იმყოფება 182,800 სომეხი, მათგან 51.873 კაცი, 61.522 ქალი და 69.400 ბავშვი.

„ორიზონში დაბეჭდილია სომეხთა მგოსნის ოგანეზ თუმანიანის წერილი; იგი მოუწოდებს სომხურ ეკლესიას იზრუნოს იმ ბავშვთა მომავალზე, რომელიც დაიბადა თურქებთან და ქურთებთან უკანონო შეუღლების გამო— „რამოდენიმე ათასი სომეხი ქალი განიცდის და ან უნდა განიცადოს უკანონო ბავშვების დაბადების დრამაო... და რადგან აუცილებლობა ჰქმნის კანონს, სომეხთა ეკლესიამ უნდა აღძრას შუამდგომლობა, რათა ყველა ასეთი ბავშვი სახელმწიფომ იცნოს კანონიერად და თვით ეკლესიამ მიიღოს თავის წიაღშიო"..

„არმიანსკი ვესტნიკი" იტყობინება, რომ თბილისში ყოფნის დროს სომხის კათალიკოსს მიუღია წევრი ქალაქის გამგეობისა გ. დ. ჟურულიო...

ამას წინად იგივე „არ. ვ." სწერდა კათალიკოსის ჩამოსვლის გამო თბილისში, მის უწმიდესობას აზრად აქვს პეტროგრადში და მთავარ სარდლის ბანაკში წასვლა, რათა პირადათ იშუამდგომლოს დარბეულ სომხეთის აღდგენაზეო".

როგორც სჩანს, კათალიკოსს მარშრუტი შეუცვლია: იგი ზეგ ბრუნდება თავის რეზიდენციაში—ეჩმიაძინში.

# ქართულ ჟურნალ-გაზეთობის ასი წლის შესრულების გამო

(გაგრძელება)

„საქართველოს გაზეთის" გამოცემა, დაწყებული 1817 წელს „ქართული გაზეთის" სახით, გაგრძელდა 1820 წლის ნახევრამდე და მერე დაიხურა. მიზეზი დახურვის არა სჩანს; ხოლო ის კი არის, რომ იმ დროის რუსის მთავრობა უგაზეთოთ დიდხანს არ დარჩენილა და 1821 წ. პირველ იანვრიდან სხვა ახალი ქართული გაზეთის გამოცემა დაუწყვია. ეს გაზეთი გახლავსთ „წ მ ი დ ა გ ი ო რ გ ი". აი ამ გაზეთის სათაურიც:

ქართული (აქ დახატულია) გაზეთი
(წმიდა გიორგი)
სექტემბერის 10 დღესი 1821 წელსა
№ 36 ტფილისი.

გაზეთი ასე იწყება: ანუ შინაარსი გაზეთისა: „უცხო ქვეყნის ამბავნი, გერმანიიდამ, ოსმალოს ქვეყნიდამ, შერთული ამბავი, აღწერა დღესასწაულობათა, ცერემონია ინგლისის კოროლისა. მოიდავიის საზღვრებიდამ, ტრიესტიდამ, ინგლისის კარალევას დაგვირგვინება, ვალახიდამ, საბერძნეთის ამბავი". ეს არის გაზეთის მთელი შინაარსი. ზომა გაზეთისა არის ისეთივე, როგორც „საქართველოს გაზეთი" ამ გაზეთსაც არ აწერია თუ იგი ვისი გამოცემა არის, მთავრობისა, ოფიციალი, თუ კერძო, სამოქალაქო გაზეთია. კარგათ ეტყობა, რომ იგი ოფიციალი გაზეთი იყო.

მაშინ თბილისში და მთელს საქართველოში რუსული გაზეთი არ გამოდგებოდა, რადგანაც ყველგან ქართული ენა მეფობდა, თვით საქართველოში მცხოვრები თათრებიც კი ქართულად კითხულობდენ, რუსული ასში ერთმა არ იცოდა, ამიტომაც მთავრობა კარგად გრძნობდა, რომ მისთვის ოფიციალური გაზეთი ქართულს ენაზე იყო საჭირო. ამიტომაც მთავრობა იძულებული იყო, რომ თავის ოფიციალი გამოცემა ქართულს ენაზე ებეჭდა.

1800 წ. შემდეგ, რაკი საქართველოს სამეფო ბედი შეიცვალა, ქართველებიც ძილს მიეცნენ, ნამძინარევნი ქეიფებს და მის მერე სწერდენ

არშიყულ ლექსებს. სხვა რამ აზრები მაშინდელ ქართველს სულ აღარ ჰქონდა. იგინი იყვნენ მსხვერპლნი ჭამასმის, ქეიფების, გაყიდვის და არშიყობის. პატრიოტული ლექსები და მამულისშვილობა პირველად ს. დოდაშვილმა იხმარა თავის გაზეთსა და ჟურნალში. გაზეთის გამოცემა გაგრძელდა 1829—1832 წწ. შემდეგ დახურულ იქმნა მთავრობის ბრძანებით, სტამბაც დაკეტილ 1832 წ. ოქტომბრის თვეში და ს. დოდაშვილიც რუსეთში გადაასახლეს, იქ მოკვდა ის 1836 წ. აი თვით ამის გაზეთის ერთი ნომრის სათაური:

სამშაბათი № 12 აპრილის 26.

ტფილისის უწყებანი

1832 წლისა

| | |
|---|---|
| გამოდის კვირაში ერთხელ სამშაფათობით, ხოლო სალიტერატურო ნაწილი თვეში ორჯერ. | წელიწადში ორისავე გამოცემისა ფასი დადებულ არს რვა მანათი თეთრი ფული. |

ეს არის გაზეთის სათაური. სამწუხაროდ, ამ გაზეთის ნომრები ჩვენ ამის მეტი ვერსად ვიშოვნეთ, იგი ერთობ იშვიათია, ძნელი საშოვნელი, ამის მიზეზი ყოფილა შემდეგი გარემოება: რადგანაც რუსეთის მთავრობამ სოლ. დოდაშვილი თავის მტრათ იცნა, ამიტომ მის გაზეთსაც დაუწყეს დევნა, მის დაპატიმრების შემდეგ, ბრძანება იყო ასეთი, რომ სადაც კი ნახოთ ქართული გაზეთები, უსათუოდ ყველა უნდა დასწვათო, რადგანაც შიგ ჩვენი მტრობის მეტი სხვა არა იქნება რაო. ამიტომაც ყველა სამართველოებში მოსძებნეს არამც თუ მარტოთ ს. დოდაშვილის გაზეთის ნომრები, არამედ ყველა ქართული გაზეთი, რომელთა რიცხვიც მაშინ ერთობ დიდი იყო და დაუწყეს მათ დაწვა.

საქმე ისე უკულმართად და ბოროტად მოეწყო, რომ ამ დაცენზორებულ გაზეთებს სწვავდენ თვით ქართველი მღვდლები და ბერებიც, თვით ქართველ ოჯახებშიაც კი ერთმანერთს უსწრობდენ და სწვავდენ უხვად და მარდათ ყველა ქართულ გაზეთებს. ამიტომაც სულ ორი თუ სამი წლის განმავლობაში, მთელს საქართველოში ამ გაზეთების ხსენება ისე მოისპო, რომ არსად ერთი ფურცელი აღარ დარჩენილა, ისე აწმინდეს ამ გაზეთების რიცხვი და ისე მოსპეს, რომ 1832 წლის შემდეგ, ძნელადღა რომ კაცი მათ შეხვდებოდა სადმე. გარდა ამისა ამ გაზეთების გამო იყო დადგენილი შემდეგი კანონებიც: ვისაც ამ გაზეთის, ან სხვა ქართული გაზეთების ნომრებს უპოვიდენ სახლში, იმას სასტიკად დააჯარიმებდენ, ვისაც კითხვაზედ მიასწრებდენ, იმას აჯარიმებდენ და ციხეშიაც სვამდენ. ყველა ამ გაზეთების მთავრობას დიდი შიში აქვნდა, ყველაში იგი თავის საწინაამდეგო პროპაგანდას ხედავდა, ამიტომაც მოხდა, რომ ს. დოდაშვილის გაზეთის მოსპობასთან ერთად მოისპენ 1817—1818, 1818, 1020 წწ. და შემდეგი გაზეთებიც. ამ გარემოებამ მთავრობა ისე დააფიქრა, რომ შიშმა გასტანა კარგა ხანს, 1832 წ. შემდეგ, ქართველებს აღარც წიგნების გამოცემის ნებას აძლევდენ და გაზეთის გამოსაცემად ხომ ხსენებაც აღარ იყო, გაზეთის გამოცემას რომ ითხოვდა ვინმე, მაშინათვე მთავრობა მთხოვნელს მიუგებდა—აბა ერთი გაიხსენეთ ს. დოდაშვილის და 1837 წ. სამზადისიო.

ზ. ჭ.

(დასასრული იქნება)

—

ბ. ზ. ჭ. წერილში, რომელიც გუშინ იყო დაბეჭდილი, გამოგვრჩა ერთი ადგილი, რის გამოც წერილის ნაწილებ შორის კავშირი არა სჩანს.

ეს ადგილი, უნდა მიჰყვეს გაზეთის მესამე გვერდის მეხუთე სვეტის ამ უკანასკნელ სტრიქონებს: ბილეთზე სწერია: შაური ორი გაბრიელ მაიორი, როგორც სჩანს თეატრში შესასვლელი ბილეთი ორი შაური ღირებულა.

მოგვყავს ეს ადგილიც:

ამავე დროს მეფე ერეკლეს ბრძანებით განახლებულ იქმნა თბილისის ძველი სტამბა, რის განახლებაც მეფეს იმ დროის კვალათ 3 ათი ათასი მანათი დასჯდომია.

ამავე სტამბაში იმავ დროს, მეფე ერეკლეს შესახებ გამოიცა გაზეთის მსგავსათ ერთი ფურცელი, სადაც მეფე ერეკლეს აქებენ დიდათ და მას ბევრ რამ სიკეთეს მიაწერენ საქართველოს შესახებ.

ამავ დროს, თბილისის მოქალაქე ტერ ხმოვანიშვილმა დახატა თბილისის გეგმა.

დავით რექტორმა აღწერა ქართლისა და კახეთის სოფლები და ქალაქები, ეს აღწერა მერე სხვებმა ვახუშტის გეოგრაფიას დაუკავშირეს.

თბილისის განახლებულ სტამბიდან ხშირად გამოდიოდა სხვა და სხვა ქართული წიგნი.

ამავ დროს, თბილისში, ხშირად გამოიცემოდა ხოლმე გაზეთის მსგავსი ფურცლები, სადაც მეფე ერეკლეს ქებით იხსენიებენ და სამაგალითოდ აცნობდენ ხალხს.

სწორეთ, აი, ამ დრომდამ ვსთვლით ქართული გაზეთის გამოცემის დროთ და არა სხვას, ანუ 1817 წ. ეს შორი შორს არის ერთობ, ამას გვაფიქრებინებს ის გარემოებაც, რომ ამ დროს, თბილისში ხშირად იბეჭდებოდა სამეფო დადგენილებანი, რასაც „ლეპორტს“ უწოდებდენ. ამ „ლეპორტის“ ხსენება დღესაც არის ქართველ გლეხებშიც; ხშირად იტყვიან ხოლმე ეხლაც, რომ „ლეპორტი“ საიდამ მოგვერთვაო.

## ხმა გურიიდან

დიდი ხნის გვალვის შემდეგ საკმაო წვიმა მოვიდა და საცა ქირნახული უნესტობით შეწუხებული იყო სულ გამოაცოცხლა და გამობრუნა. წართალია უმუშახელობის მიზეზით წელს გურიაში შედარებით ცოტა ნათესია, მაგრამ რაც არის სიმინდი ისე შავად ღაღანებს, რომ „ავ თვალს არ ენახვება“. მეტადრე ნაადრევმა სიმინდმა ისახელა თავი და ბევრ ადგილას შესაწვავათ სიმინდი უკვე შემოვიდა, ისე რომ ზოგი ყანა სამარიობოთ კიდეც მოიტეხება. სიმინდის წრევანდელი მოსავალი ერთხელ კიდევ ცხადად ამტკიცებს, რომ გურიაში სიმინდი მარტის ნასეხების შემდეგ უნდა დაითესოს და ადრე დათესილი ყოველთვის სჯობს, ვიდრე ნაგვიანევი. გარდა სიმინდისა, დიდ მოსავალს გვპირდება აგრეთვე ადესაც, ბალის ვენახსაც კარგად ასხია, ვინც კი უწამლა. 3—4 წლის ზედი ზედ დამშეული გურია წელს მოელის გაძღომას.

რაკი მშრალი გაზაფხულ-ზაფხული იდგა ამის მეოხებით წელს გურიაში ციებ-ცხელებაც შედარებით ძლიერ ნაკლებია. ერთი სიტყვით წელს გურია ცოტა თავისუფლად ამოისუნთქავდა,

შიგნით კარგი მოსავალი და გარეთ გასულების მიერ გამოგზავნილი დახმარება გურიას კვლავ მოაღონიერებდა მაგრამ ვაგლახ, გარეთ ვინც არის და გამოგზავნილი ფულით ოჯახს „აპურებს“ ისინი ყველანი კვლავ უფრო შორს მიყავთ, ბევრი ვერც კი დაბრუნდება და თუ დაბრუნდა დასახიჩრებული და სარჩენი, შინ ვიღა რჩება, არავინ, ნამუშიერის მიმლაგებელი—სიმინდის ნალიაში შემყრელი და ყურძნის მომკრეფიც კი აღარ დარჩება. ქალები! ქართველი ქალები საზოგადოთ ვერ არიან მამაკაცის შრომაში ყოჩაღები და მით უმეტეს გურულები, გურულ ქალებზე ვერავითარ იმედს ვერ დავამყარებთ.

—

ქალაქისა და დაბების დარბევა-აკლებას საბედნიეროთ გურია გადაურჩა. მართალია საშიშარსა და ყოვლად სამარცხვინო ამბებს, ისეთებს რაც სხვაგან ჰქონდა ადგილი აქაც ელოდნენ, მაგრამ გურიის მცხოვრებთა დიდი უმეტესობა ემორჩილება—ხალხის ძალას. ხალხის ჭირისუფლებმა კი ერთხმად დაგმეს ყოველგვარი ძალადობა და ხალხს მოუწოდეს კოოპერატივების გარეშემო შემოკრბნენ და ვაჭრებს შეგნებული საშვალებით ებრძოლონ. ვერ ვუსაყვედურებთ ვერც მაზრის უფროს ბ-ნ ჩერნოვს, რომელიც ხალხის ორგულების რჩევას ყოველთვის გაურბის და საქმე ხალხის მოკეთეებთან აქვს... ვაჭრებმა ნიხრს დაუკლეს და ხალხს „ძმობას“ ეფიცებიან. სასურველია თვით სოფლელებმაც, ვისაც კი გასაყიდი აქვს რამე მიბაძონ ვაჭრებს, თორემ სოფლის ნაწარმოებს ზოგიერთს საზღაპრო ფასი აქვს. გირვანქა ყველი 70—80 კაპ. ფასობს, ურემი შეშა 3—5 მ. (წინად 1-50—2 მ.) ერთი მეორეს სოფლელი ყანის ნუშა 2—3 მან. ხარჯს სთხოვს და სხვა.

სასურველია ცხოვრება ერთი მეორეს ყველამ შეუმსუბუქოს.

ძველი.

## დაბა-სოფლები

სოფ. ნარაზენი (ზუგ. მ.). ყველას კარგად ახსოვს თუ რა საშინელება განიცადა ჩვენმა მასაზრდოებელმა გლეხ-კაცობამ, ამ ორი წლის განმავლობაში. შეუბრალებელმა სტიქიონმა გაანადგურა ყოველივე ის, რაც გლეხის ოფლის მიერ იყო შექმნილი. დღეს სხვა სურათების მხილველი ვართ. ორი დღით მომიხდა ყოფნა სოფლებში. აფერადებული და აქოჩრილი ბუმბერაზი მთები, ნელი, მშვიდი ცხენის წყალი, რომელიც ხვეულ მთათა ბნელ სიღრმიდან გველივით მიიკლაკნება ზღვასავით მოლივლივე ყანებ შორის, იდუმალი შხუილი ხობის-წყალისა. მოსავალს კარგი პირი უჩ́ნს და გლეხიც იმედიანად გამოიყურება. ჩემს მიერ დათვალიერებულ სოფლებთა შორის სოფ. ნარაზენი ყველაზე მეტად იძლევა მოსავლის იმედს. ეს სოფელი მომხიბვლელია თვისი ბუნებრივი სილამაზით და მდებარეობით. იშვიათად შეხვდებით სხვა სოფლებში ისეთ ყანებს, როგორიც აქ არის. სამწუხაროდ მრავალი ნაყოფიერი ადგილი დახნული არ არის, მიზეზი მუშა ხელის ნაკლებობაა. სამუშაოდ გამოსულიყვნენ სულ მცირე წლოვანი ბავშვები, მოხუცებულები და ქალებიც.

სოფელი ნარაზენი მდებარეობს დ. ზუგდიდს 13 ვერსის მოშორებით. მცხოვრებთა რიცხვი 300 აღემატება. გზების უქონლობის გამო მცხოვრებნი მეტად ცუდ პირობებში იმყოფებიან. არა ერთხელ მიუმართავთ მთავრობისთვის, რათა ამ უკანასკნელს ამ გარემოებისთვის ჯეროვანი ყურადღება მიექცია, მაგრამ ყური არავის უთხოვებია. მცხოვრებთ შევეკითხე: რატომ კოოპერატიულ დუქანი არ გაგიხსნიათ? მიპასუხეს: ასეთი დუქნის საჭიროება გვესმის, მაგრამ, საუბედუროდ, ჯერჯერობით მისი გახსნა სახიფათოდ მიგვაჩნია ჩვენში ყაჩაღების თარეშის გაძლიერების გამო

ამ სოფელში არც ექიმია და არც ფერშალი, რის გამო გლეხობა მეტად უმწეო მდგომარეობაშია.

მ. ანაშვილი.

—

ს. შემოქმედი (გურია). აქ სხვა კულტურულ დაწესებულებათა შორის არსებობს უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველო იაკობ გოგებაშვილის სახელზედ. წიგნთსაცავ-სამკითხველოს მრავალი წიგნები აქვს და თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთობა მოსდის. მაგრამ როგორც აღმოჩნდა, აქ ზოგიერთ პირებს სამკითხველოდან გააქვთ უკითხავად ჟურნალ-გაზეთები და აღარ აბრუნებენ. საჭიროა გამგეობამ შესაფერი ზომები მიიღოს.

ორშაბათს 18 მკათათვეს, აქ ბრძანდებოდა მაზრის უფროსი ბ-ნი ჩერნოვი ბოქაულის თანხლებით. მაზრის უფროსმა ხალხი დაარიგა და აქაურ ვაჭრებს სთხოვა ხალხისთვის ხელი შეეწყოთ და საქონელი ზომიერ ფასებში გაეყიდათ. ბ-ნმა ლავრენტი ჯახვამ საქონელს ფასები ზომიერათ დაუკლო. საჭიროა სხვა ვაჭრებმაც მიჰბაძონ.

პური აქ საშინლად უვარგისი ცხვება, როგორც კოოპერატივში ისე კერძო დუქნებში. საჭიროა მომხმარებელი საზოგადოების „ეკონომია“-ს გამგეობამ ზომები მიიღოს.

ს. ჟუჟისპირელი.

## თეატრი

**ახალ-სენაკის თეატრის გახსნა.**

კვირას, 24 მკათათვეს, ახალ-სენაკში გაიხსნა ახლად აშენებული სათეატრო ორ-სართულიანი (ორ იარუსიანი) დარბაზი შესაფერი სცენითურთ. თეატრი აშენებულია ძმათა სანიკიძეთაგან. კვირა დილით უნდა მომხდარიყო თეატრის შენობის კურთხევა შესაფერის ზეიმით, მაგრამ საქმის გამგეთა უნებურად კურთხევა ვერ მოხდა.

ამ დღისათვის თბილისიდგან საგანგებოდ მოწვეული იყო ჩვენი დამსახურებული არტისტი და საზოგადო მოღვაწე ვალერიან გუნია, რომელიც მონაწილეობას ღებულობდა შიუკაშვილის „მეგობრობაში“ არჩილ ლომაურის როლში.

საღამოს თეატრს აუარებელი ხალხი დაესწრო. წარმოდგენამ ჩინებულად ჩაიარა. თამაშობდნენ სცენის მოყვარენი—უნივერსიტეტის ახალგაზდობა და ადგილობრივი ინტელიგენცია—მასწავლებლები. პიესა კარგად მომზადებინათ და საზოგადოება კმაყოფილი დარჩა.

ახალ-სენაკში თეატრის საქმეს განაგებს ადგილობრივი დრამატ. საზოგადოება, რომლის სათავეში სდგას სამოელ კეკელია, რომელმაც დიდი სიყვარული და ფხა გამოიჩინა ამ საკულტურო საქმის მოწყობაში. გამგე კომიტეტში მონაწილეობას ღებულობენ ყველა ჩვენი პარტიების წარმომადგენელნი და ჩვენდა საბედნიეროდ თანხმობით და სიყვარულით მუშაობენ ამ საერთო ეროვნულ საქმეზე.

წარმოდგენის შემდეგ ვალერიან გუნიას გაუმართეს საზეიმო ვახშამი, რომელსაც მრავალი ხალხი დაესწრო და ბევრი საინტერესო სიტყვა და სურვილი წარმოითქვა.

ფრიად სასიამოვნოა აღნიშვნა იმ გარემოებისა, რომ ახალ-სენაკის ინტელიგენცია მეტად ფხიზელი და საზოგადო ინტერესებით არის გამსჭვალული. იგი შეგნებით მუშაობს და სწორედ ამ მუშაობას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ ახალ-სენაკი დარბევას გადარჩა, მაშინ როდესაც მრავალი ახლო-მახლო დაბა-სოფლები სულ ერთიანად დარბეული და დანგრეულია.

მგზავრი.

## შემოწირულება

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შემოსწირეს:

1. თედო სახოკიამ: ა) თერთმეტი სხვა და სხვა შინაარსის ფრანგული ნაბეჭდი წიგნი და ბ) 24 ფული სხვა და სხვა დროისა (22 შავი, ერთი თეთრი და ერთიც ნიკელისა).

2. მღვდელმა ივანე კასრაძემ (ხვედრეთიდან): ა) ოთხი შავი ფული და ბ) ორი წიგნი: „არჩილ მეფის ნათარგმნი კრონოგრაფი (მხედრული, თავი და ბოლო აკლია) და კონდაკი 1710 წელს დაბეჭდილი.

3. მიხეილ ბორჩხაძემ: ახალი შავი ფული.

4. ალ. ირ. ნანობაშვილმა: სამი სიგელი.

5. გიორგი მიხეილის ძემ თუმანიშვილმა: აკაკის ლექსი (ავტოგრაფი)—„ნაძალადევი მეუღლე“.

6. იოსებ მერკვილაძემ: ბერძნული ხელნაწერი წიგნი „ხაეკლესიო საგალობელნი“.

7. ვახტანგ დიმიტრის ძემ, პოლკოვნიკმა ნაცვლიშვილმა: საქონე.

8. სიმონ არჯევანიძემ: საკუთარის ხელით მოჩუქურთმებული ყელიანი გოგრის ჭურჭელი.

9. ივანე სოლომონის ძემ ბოკერიამ: ა) ხელნაწერი წიგნი—„ხმლუდელო ისტორია ძუძლისა და ახლისა აღთქმისა“, რუსულით ქართულსა ენასა ზედა გარდმოღებული არქიმანდრიტის გაიოზის მიერ.

საზოგადოების საბჭო გულითადს მადლობას უძღვნის შემომწირველებს.

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესათ გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ ქ-ნ გოგუცა დემუროვისას, რომელმაც იკისრა ინიციატორობა დახმარებათა მოგროვებისა ქვედა ძიმითის სამკითხველოს სასარგებლოთ, და აგრეთვე ქვემოდ აღნიშნულ პირთ დახმარებისათვის:

სამსონ გოგელიამ 10 მან. ვარლამ ჰყონიამ 5 მან. სამ. გოგელიამ 3 მან. გიორგი გოგელიამ 3 მ. ალმასხან კალანდაძემ 2 მ. 6. კენჭამ 2 მ. ს. მიქატაძემ 2 მან. თ. ანდღულაძემ 1 მ. 50 კაპ. ს. ბოლქვაძემ 1 მ. 50 კაპ. 3. გოგელიამ 1 მ. 50 კ. № 1 მ. 50 კაპ. თითო მანეთი: იას. პატიეშვილმა, დ. პატიეშვილმა, ჰყონიამ, მ. ქორქაშვილმა, ს. ვაშაყმაძემ, №-მა, ს. გალოგრემ, ჩიჩუამ, ბ. ბებურიშვილისამ, ი. ლომინაძემ, ვლ. სალუქვაძემ, ფ. ორაგველიძისამ, ს. ანდღულაძემ, ი. ღლონტმა, ა. ხუნდაძისამ, ხომერიკმა, ი. ფირცხალაიშვილმა ვ. დემუროვმა, ვ. გორდელაძემ, №-მა, დ. ერისთავმა, ვ. თავართქილაძემ, რ. ჩხაიძემ, შ. ხუჭავამ, ნ.-მ. ინსპექტორმა, ს. თაყაიშვილმა, კ. მახარაძემ, Татузовъ-მა, ვლ. შავარდნაძემ, კ. ვასკრესენსკისამ, მ. აბაშმაძისამ და ლ. სალუქვაძისამ. ი. თევზაძემ 80 კ. უშვერიძემ 55 კ. ათ-ათი შაური: ლ. სულავამ, პ. კავლიაშვილმა, გ. ხუტიძემ, ბ. თოფურიამ, ნ. თედორაძემ, ნ. დოლიძემ, ყ. ქარცივაძემ, ვლ. გიორგაძემ, მ. საბაშვილმა, Закутовскій-მ, ს. კალატოზოვმა, ალ. ჩიტაიშვილმა, ს. ბურჭულაძემ, ეფ. ორაგველიძისამ, ა. სულაძემ, ს. ცხომელიძემ, ანტ. მუქირიმ, №-მა, ს. კვაშალიმ, მ. ქარცივაძემ, ვასილამ, ო. ელიაძემ, ი. ბოლქვაძემ, ა. ბერიძემ, ი. ქინქლაძემ, პ, დანელიამ, ტ. ბოლქვაძისამ, ბ. ღლონტმა, ს. კვაშალისამ, ნ. მდინარაძემ, გ. სალუქვაძემ, ჟ. ესაძემ, ე. ანთელიძემ, Парманъ-მა, მ. ჭინჭარაძემ და დავით გოგელიამ. ორ-ორი აბაზი: ა. გოლიაძემ, ვ. ვ.-მ, ო. წერონძემ და ი. ჯაყელმა. ი. მეგრელიშვილმა 30 კაპ. მ. ლორიამ 25 კაპ. ვ. თოხაძემ 20 კ. სამ-სამი შაური: თ. კალანდარიშვილმა, ვ. ღლონტმა და ა. ამირბეგოვამ. ვ. ორაგველიძემ 5 კაპ.

მონდობილობით — ქვედა ძიმითის სამკითხველოს დამაარსებელთა წრის ხელმძღვანელი—მასწ. კოწია ჭუბაბრია.

რედაქტორ-გამომცემელი

ხანდრო შანშიაშვილი

## ამიერ-კავკასიის რკ.-გზის

მატარებლების განრიგი

(დრო ნაჩვენებია ტფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | საღ. |
| ბორჯომის | სამგზ. | № 17, | 8.27 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 19, | 3.19 | დღ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | № 4, | 7 „ | 58 „ | დილ. |

**ტფილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | № 3, | . 7 „ | 58 „ | საღ. |


სავაჭრო სახლი

„ძმ. სესიევები და ამხ.“

(ვაგზლის ქ. № 6)

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ პირველ ივნისიდან ამა 1916 წ. თავის საწყობში წვრილად გაიყიდება

ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო

თუ გსურთ, მიმართეთ

ცნობის კონტორას

ი. თ. გვათუასას

თბილისი, ვერის დაღმართი, სახლი მელიქ აზარიანისა № 1

რემინგტონზე რისამე დაბეჭდვა, რემინგტ. სწავლა ამერიკ. წესით, საქმის ქაღალდის დაწერა, თხოვნების შედგენა, საქმის და თხოვნის წარმოება, ცნობების შეკრება, მოსამსახურის შოვნა, საკომისიო მინდობილობა, ბინის გაქირავება, ბინის შოვნა, მამულის ყიდვა, მამულის გასყიდვა, მამულის დაგირავება, მამულის იჯარით გაცემა და სხვ.

შუამავლობას ეს კონტორა გასწევს როგორც ქალაქელთა ისე ქალაქ გარეშელთათვის.

ყველა საქმეს კონტორა სწრაფად და პირნათლად ასრულებს.

ხელმისაწვდენ ფასებში

მისამართი პროვინციელთათვის: Тифлисъ, Верійск. спускъ И. Т. Гватуа, Справочная контора.

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლაღიძის და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის ნამდვილი სამკურნალო წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების ყალბი ეტიკეტების მიმსგავსებით ნამდვილი ლაღიძის წყლის ეტიკეტის ნიშანი შემდეგია




ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში ◊ თვით პრობკებსაც აწერია

„ლაღიძის წყალი“

მხოლოდ და მარტო ლაღიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე

სუნი და გემოც საამური აქვს

წლ.

ქ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა ◊ წიგ. მაღაზია

„განათლება“-ში

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, თმის ქარტები რომლებიც გაიგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, ჟურნ. „განათლება“ кавказское слово „тифлисскій листокъ“, „горизонтъ“, „мшаки“ და „ხათაბალა“.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

თევზის მრეწველნი

ძმ. ძეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვილთ, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზალალა, მცირე მარილიანი, შავი „მუშონკა“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოკო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.